სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 28 აგვისტო 2006 №198 (2820) ფასი 50 თეთრი



გამორიცხულია!

კახა კალაძე საფრანგეთის და უკრაინას მხოლოდ ნახავს

საბოლოოდ გადაწყდა: საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე საფრანგეთთან 2 სექტემბრის მატჩში ვერ ითამაშებს. იტალიური „მილანის“ მცველის თამაში მომდევნო, უკრაინელებთან 6 სექტემბრის შეხვედრაშიც ძალიან საეჭვოა. ძალიან საეჭვო კი არა, თითქმის გამორიცხულია.

კახა კალაძეს გუშინ მილანში შევეხმიანეთ და ეს ამბავიც მისგან გავიგეთ...

ინტერვიუ კახა კალაძესთან
იხილეთ მეორე გვერდზე

ტოპმიოლერს ფრანგული მოდელი აერია

კვირკველია აქტუალურია, მარცვალაძე საჭირო

„ვიტ ჯორჯია“ — „ზესტაფონის“ მატჩს საქართველოს ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერიც ესწრებოდა. გერმანელმა ფეხბურთელთა გვარები მოითხოვა და დროდადრო რაღაცებს ინიშნავდა.

ნამატჩევს ტომპიოლერს მოახლოებული საქართველო — საფრანგეთის გარდა გუშინდელ მატჩზეც გავესაუბრეთ...

— მატჩით კმაყოფილი ჩანხართ...

— დიახ, საინტერესო შეხვედრა იყო. „ზესტაფონს“ კარგად ვიცნობ, „ვიტ ჯორჯიას“ თამაში კი, თუ არ ვცდები, მეორედ ვნახე. ამ გუნდმა სასიამოვნოდ გამაკვირვა. განსაკუთრებით დაცვაში ითამაშეს აწყობილად, ერთმანეთს დროულად აზღვევდნენ და მეტოქეს, ფაქტობრივად, გასაქანი არ მისცეს. დღეს „ვიტ ჯორჯიამ“ ღირსეულად გაიმარჯვა.

— თქვენთვის საინტერესო ფეხბურთელი თუ შეათვალიერეთ?

— „ვიტ ჯორჯიაში“ არის რამდენიმე კარგი ფეხბურთელი, მაგრამ ამ ეტაპზე მათთვის ნაკრები ადრეა. მათ გვარებს ამიტომ არ დავასახელებ. ახლო მომავალში ექსპერიმენტების და რადიკალური ცვლილებებისთვის არც დრო გვაქვს და არც საშუალება.

— გრიგოლ ჭანტურია ნაკრების მეკარეა. ერთ მომენტში მან თავი ვერ შეიკავა და მეტოქეზე გაიწია...

— ჭანტურიას აუცილებლად დაველაპარაკები. შესაძლოა, იმიტომ ნერვიულობდა, რომ ლამის მარტო იბრძოდა, თანაც მატჩი მისი გუნდისთვის კატასტროფულად მიმდინარეობდა. მაგრამ პროფესიონალმა მაინც უნდა შეიკავოს თავი. მიუხედავად ამისა, რაღაც განსაკუთრებულს ან კატასტროფულს ამაში ვერაფერს ვხედავ.

— კახა კალაძისგან შევიტყვეთ, რომ საფრანგეთთან და უკრაინასთან ვერ ითამაშებს...

— ეს უსიამოვნო ამბავი, რა თქმა უნდა, ვიცი. მხოლოდ იმის თქმაღა შემიძლია, რომ მისი არყოფნა იმდენად სერიოზული დანაკლისია, რომ გეგმები მნიშვნელოვნად აგვირია. ახლა უკვე აქტუალური გახდა დავით კვირკველიას მოწვევა. მით უმეტეს, იგი საკმაოდ კარგ ფორმაშია და უეფას თასზე გოლიც გაიტანა.

— სხვა ტრავმირებულების საქმე როგორაა?

— ხიზანიშვილი და ცქიტიშვილი აუცილებლად ითამაშებენ. იმედი გვაქვს, ოთარ მარცვალაძეც საბოლოოდ გამოჯანმრთელდება. მისი დახმარება დაგვჭირდება.

— ამ ყველაფრის ფონზე საფრანგეთთან მატჩის წინ განწყობა როგორია?

— მას შემდეგ, რაც ფარერებს დიდი ანგარიშით და, რაც მთავარია, გამართული თამაშით დამაჯერებლად მოვუგეთ, საკმაოდ იმედიანად ვართ. რა თქმა უნდა, საფრანგეთი ფავორიტია, მაგრამ მათი დამარცხება წარმოუდგენელი სულაც არ არის.

ბაჩო სვანიძე

VIP-კომპლიმენტები ვიტ ჯორჯიას

ცხრილი ანბანზე დაიწყო: ამერი ისევ თავშია

საქართველოს ჩემპიონატის მეოთხე ტურის მატჩების მიმოხილვა იხილეთ მეორე-მეხუთე გვერდებზე

დახუჭეთ თვალები და შეიკარით სუნთქვა

ავანტი, პოპოლო! იუვე ავანტურისტო, იტალია ტურისტო



„იუვენტუსის“ საქმე სამოქალაქო სასამართლოში 1 სექტემბერს განიხილება! სხვა სიტყვებით, ტურინის გუნდი თავისი სიმართლის წილ სასწორზე მთელ იტალიურ ფეხბურთს დებს, ხოლო მთელი იტალიური ფეხბურთი, წამით თვალები რომ დავხუჭოთ და წარმოვიდგინოთ, იმხელა სიდიდეა, კაცს სუნთქვა შეგეკვრება. ეს არის სერია A-ს პირველობა თავისი მრავალმილიონიანი ბიუჯეტით, „მილანის“, „ინტერისა“ და „რომას“ მონაწილეობა ჩემპიონთა ლიგაში, სხვათა გამოსვლა უეფას თასზე და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის, „სკუადრა აძურას“ კამპანია ევრო 2008-ის დასაპყრობად.

არადა, ფიფამ ყველაფერი გასაგებად თქვა — ფეხბურთი ავტონომიური სამყაროა, რომელშიც სამოქალაქო სასამართლოს ჩარევა არ შეიძლება. თუ „იუვენტუსი“ სპორტული სამართლის ფარგლებს გასცდება, იტალიის ფეხბურთის ფედერაცია საერთაშორისო შეჯიბრებებიდან მოიკვეთება, მაგრამ, ვაგლახ, „იუვენტუსმაც“ გასაგები პასუხი გასცა: ვინაიდან სპორტულმა ტრიბუნალმა მას მიკერძოებული ვერდიქტი გამოუტანა, სამოქალაქო სასამართლოში ჩივილი გარდაუვალია. მატერიალური კომპენსაციის სახით კი ტურინელები 166,8 მილიონ დოლარს ითხოვენ.

შეგახსენებთ: სპორტულმა ტრიბუნალმა კალჩოპოლის სკანდალის გამო სერია B-ში მხოლოდ „იუვენტუსი“ დააქვეითა და ახალი სეზონის მინუს 17 ქულით დაწყება მიუსაჯა.

გახსოვდეს ფიფა!

მომდევნო „სარბიელი“ გამოვა ოთხშაბათს, 30 აგვისტოს

კახა კალაძე: საფრანგეთთან და უკრაინასთან ჩემი თამაში გამორიცხულია

— ტკივილმა არა და არ გამიარა. ფეხი ახლაც მაწუხებს და უკვე შემიძლია, დანამდვილებით გითხრათ, რომ საფრანგეთთან ვერ ვითამაშებ — გვითხრა გუშინ კახა კალაძემ, როცა მილანში შევეხმიანეთ.

— ამის თაობაზე კლაუს ტოპმიოლერს უკვე ესაუბრე?

— ტოპმიოლერს არა, მაგრამ ფედერაციის ხელმძღვანელობამ იცის ჩემი ამბები. სამწუხაროა, მაგრამ ნაკრებს ვერაფრით დავეხმარები.

— ექიმები რას გეუბნებიან?

— მკურნალობა თითქმის დასრულებულია. ახლა დროა საჭირო. ფეხი ნელ-ნელა უნდა შეეჩვიოს დატვირთვებს.

— ანუ ჯერ ვერც ვარჯიშობ?

— მხოლოდ დავრბივარ, სხვა სახის დატვირთვა არ შეიძლება.

— საფრანგეთთან მატჩის სანახავად ხომ არ აპირებ ჩამოსვლას?

— შეიძლება ჩამოვიდე. ვნახოთ, რას მეტყვიან ექიმები და ისიც გასარკვევია, გამომიშვებს თუ არა კლუბი.

— შენი მდგომარეობიდან გამომინარე, ალბათ, უკრაინასთანაც ვერ ითამაშებ 6 სექტემბერს...

— ასე გამოდის. ჯერ ვარჯიშით ვერ ვვარჯიშობ და თამაშზე, აბა, რა გითხრათ... გული მწყდება, რომ ნაკრებს ასეთ უმნიშვნელოვანეს მატჩებში ვერ ვეხმარები.

— ფარერებთან 6:0 მოგებას ნახავდი...

— ვნახე და ძალიან გამიხარდა, რომ შესარჩევი ციკლი ასე კარგად დავიწყეთ. პირველივე ტურში სამი ქულა და დამაჯერებელი თამაში ძალიან ბევრს ნიშნავს.

— და ერთიც: სერია B-ში „იუვენტუსის“ დაქვეითებამ დიდი ხმაური გამოიწვია. ტურინელებმა სპორტული ტრიბუნალის გადაწყვეტილება სამოქალაქო სასამართლოში გაასაჩივრეს, რამაც ფიფა აღაშფოთა და შესაძლოა, იტალია საერთაშორისო ტურნირებიდან მოკვეთონ...

— არა მგონია, აქამდე მივიდეს საქმე. ეს გამორიცხულია. მალე სერია B იწყება, მერე სერია A-ც დაიწყება და ყველაფერი დალაგდება.

კახა შალამბერიძე

მარცვალაძეც დაბრუნდა

საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი ტრავმირებული ფეხბურთელი ოთარ მარცვალაძე საბოლოოდ გამოჯანმრთელდა — კიევის „დინამოს“ ქართველმა თავდამსხმელმა გუშინწინ სარეზერვო გუნდშიც ითამაშა.

პატარა კიეველებმა 7:0 გაანადგურეს ხარკოვის „მეტალისტი“, თუმც ჩვენებურებს გოლი არ გაუტანიათ — მარცვალაძე პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს, დავით იმედაშვილმა კი 55 წუთი დაყო მოედანზე.

კახა შალამბერიძე

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

ჩვენი მეტოქე

ლიტვა მსოფლიოს ჩემპიონით იწყებს

2 და 6 სექტემბერს ლიტვა ნეაპოლში იტალიას, ხოლო კაუნასში შოტლანდიას ხვდება. ბალტიისპირელთა თავკაცმა ალგიმანტას ლიუბინსკასმაც უკვე შეარჩია ის 25 ფეხბურთელი, რომლებსაც ამ ორი მატჩისთვის მოამზადებს.

მეკარეები: *ჟიდრუნას კარჩემარსკასი, მინდაუგას მალინაუსკასი, არვიდას კასინკევიჩიუსი;*

მცველები: *მარიუს სტანკევიჩიუსი, როლანდას ჯიაუკშტასი, ანდრიუს შკერლა, გედიმინას პაულაუსკასი, ტომას ჟვირგჟდაუსკასი, დარიუს ჟუტაუტასი, ირმანტას ზელმიკასი;*

ნახევარმცველები: *დეივიდას ჩესნაუსკისი, მარიუს ზალიუკასი, დარიუს მიცეიკა, აიდას პრეიკსაიტისი, შაულიუს მიკოლიუნასი, ანდრიუს გედგაუდასი, ვიტალიუს კავალიუსკასი, მანტას საკენასი, ტომას ტამოსაუსკასი, მინდაუგას კალონასი;*

თავდამსხმელები: *რობერტას პოშკუსი, ტომას დანილევიჩიუსი, ედგარას იანკაუსკასი, ტადას ლაბუკასი, პოვილას ლუკუსუსი.*

საქართველოს უმაღლესი ლიგა 18 ჩემპიონატი
I წრე. 4 ტური

ოლიმპმა წითელზე არ შეაჩერა და...

კოტე ყორშია რუსთავიდან

სამი ტურში გოლგაუშვებელმა რუსთავის „ოლიმპმა“ არც მეოთხეში გაუშვა, შესუსტებულ თბილისის „ლოკომოტივს“ ბოლო წუთებზე ერთი გაუტანა და „ფოლადიდან“ სამქულიანი მოსავალი აიღო.

ეს იყო მატჩის ლოგიკური შედეგი, თუმცა დიდად არც 0:0 გააკვირვებდა „ფოლადზე“ მოსულ ორიოდ ასეულკაციან აუდიტორიას.

„ოლიმპი“ თავიდან ბოლო წუთამდე უტევდა, მაგრამ გოლი არა და არ ჩანდა. ლოკომოტიველები ორთაბრძოლათა დიდ ნაწილს აგებდნენ და ძალაუნებურად დათმეს მოედნის ცენტრი, მაგრამ თავს საკმაოდ კარგად იცავდნენ, განსაკუთრებით პირველ ტაიმში და დავით გვარამაძემდეც იშვიათად უშვებდნენ ბურთს.

„ლოკოს“ ნახევარზე დასახლებული მასპინძლები თავისას ცდილობდნენ და კარშიც ხშირად ურტყამდნენ: ნიკა გუშარაშვილის პერსონალური მეურვეობით შეწუხებულმა ცენტრფორვარდმა ირაკლი სირბილაძემ საჯარიმოში ბურთის მოხელთება და დარტყმა მოახერხა, მაგრამ პირდაპირ გვარამიძის მიმართულებით.

24-ე წუთზე მცველებმა ლაშა ქებაძე მოცელეს. სახიფათო საჯარიმო „ოლიმპის“ კაპიტანმა მიხეილ მახვილაძემ ძლიერად დაარტყა, მაგრამ ოდნავ გადააცილა კარს.

ათიოდ წუთში ლერი ხოხონიშვილმა ორი მცველი მოატყუა, სირბილაძესთან კედელი გაითამაშა და დაარტყა კიდეც — კვლავ ოდნავ მაღლა.

მასპინძლებმა მეორე ტაიმშიც განაგრძეს შეტევები. თან არც დაცვა ავიწყდებოდათ. დრო კი გადიოდა და ხეირი არსად ჩანდა. ამასობაში კი ერთი კონტრშეტევაც გაეპარათ — კონსტანტინე ავალიანის ძლიერ დარტყმულს მცველი გადაეღობა და მაღალი ტრაექტორიის ბურთი „ოლიმპის“ კარს ციდან ლამის პირველ გოლად გამოეცხადა, მაგრამ წონასწორობადაკარგულმა მეკარე მიხეილ ალავიძემ მაინც იყოჩაღა და თითის წვერებით „გააუქმა“ გოლი.

„ოლიმპი“ კვლავაც ეძალებოდა სტუმრებს. პირველი წუთებისგან განსხვავებით, მასპინძლები უფრო ხშირადაც ჯაბნიდნენ „ლოკოს“ დაცვის ბოლო ეშელონებს და გვარამაძესაც, თუ არ აშფოთებდნენ, აწუხებდნენ მაინც. „კოშკამ“ შორიდან კარგი დარტყმული მოიგერია, მალე კი ხარიხაც დაიხმარა.

თითქოს გოლი მწიფდებოდა, მაგრამ შეტევაში გართული მასპინძლები 35-ე წუთზე გვარიანად შეშფოთდნენ — ათი წუთის წინ ძელის „მომკითხავმა“ გიორგი კახელაშვილმა უკნიდან მოცელა გიორგი ბარბაქაძე და წითელი ბარათიც მიიღო.

ვ. შარაძე დოლაბერიძეს ბურთს ფოტო

გოჩა ხოჯავა საქართველოს ჩემპიონატს დაუბრუნდა

ფიქრობთ, „ოლიმპი“ ამან შეაჩერა? პირიქით, გიორგი კიკნაძის ბიჭებმა შეტევა გააძლიერეს, თითქოს მოთამაშე მათ კი არა, მეტოქეს გამოკლებოდეს. ხუთ წუთში გვარამაძემ ორი ძნელი და ერთი უძნელესი დარტყმა მოიგერია, მაგრამ ერთხელ ბურთმა მაინც შეძლო მისი ხელებიდან გასხლტომა — თორნიკე აფციაურის საჯარიმოს გარედან დარტყმულს ხელები კი წაატანა, მაგრამ კარი მაინც ვერ გადაარჩინა.

თამაშიც, ფაქტობრივად, აქ დასრულდა. დარჩენილ წუთებში „ოლიმპს“ ხიფათი აღარ შეუქმნია, „ლოკომოტივიც“ ამაოდ ცდილობდა რაღაცას...

რუსთავი. 27 აგვისტო. 17 საათი. ფოლადი. 200 მაყურებელი

ოლიმპი 1:0 ლოკომოტივი

1:0 აფციაური (87)

ოლიმპი: მ. ალავიძე, მიმინოშვილი, მახვილაძე, რ. ონიანი, ხოხონიშვილი, ხუბუა (ხოჯავა 46), ქებაძე, აფციაური, სირბილაძე (გ. თოდუა 86), დვალიშვილი, გ. კახელიშვილი
სათადარიგონი: ნაჭყეპია; ვ. კვარაცხელია, კაკაბაძე
მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე

ლოკომოტივი: გვარამაძე, დ. ფოფხაძე, კუპრეიშვილი, მიხაილიდი, გ. კვახაძე, გუშარაშვილი, ებრალიძე, კ. ავალიანი, გულორდავა (ბარბაქაძე 38), ალავერდაშვილი (ცხომარია 70), ვ. გოჩაშვილი
სათადარიგონი: მიგინეიშვილი; ყიფიანი, ჩივაძე, ბახტაძე
მწვრთნელი: ამირან მინაშვილი

გაფრთხილება: ებრალიძე (24), გვარამაძე (34)

გაძევება: კახელიშვილი (35)

მსაჯები: ო. ხეცაძე; გ. ჩიგოგიძე, ს. სპიცინი; გ. ვადაჭკორია

პრესკონფერენცია

ამირან მინაშვილი: ვულოცავ ჩემს კოლეგას, რომლის გუნდმაც დამსახურებულად გაიმარჯვა. ვიცოდით, რომ მძიმე თამაში იქნებოდა, რადგან ჩვენი მეტოქე ძლიერი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. ჩვენი თამაში დაცვაზე და კონტრშეტევებზე ავაწყვეთ, მაგრამ არ გამოვიდა. ძლიერი იმარჯვებს და ასეც მოხდა.

გიორგი კიკნაძე: დავენთახმები ბატონ ამირანს, ჩვენთვისაც არ იყო იოლი მატჩი, თუნდაც კალენდრის გამო. ბოლო ტურებში ზესტაფონსა და ბოლნისში გვქონდა თამაშები და იოლი მისახვედრია, რა ენერგია მიაქვს ამ გუნდებთან თამაშს. თუმცა ჩვენ მოვიგეთ და კმაყოფილი ვარ.

ძვირფასო გულშემატკივრებო

სფფ გატყობინებთ, რომ 2 სექტემბერს საქართველოს და საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებთა შეხვედრაზე დასასწრები ბილეთების დაჯავშნა შეწყვეტილია. ბილეთები გაიყიდება 27 აგვისტოდან ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე, ხოლო 28 აგვისტოდან მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზეც. უეფას მიერ შემუშავებული უსაფრთხოების ნორმების მიერ თამაშის დღეს ეროვნული სტადიონის ტერიტორიაზე ბილეთები არ გაიყიდება. მათი რეალიზაცია მხოლოდ „მიხეილ მესხის“ სტადიონის სალაროებში მოხდება.

აბონემენტების დაჯავშნის მსურველებმა უნდა დარეკონ ტელეფონის ნომერზე 877 99 09 70. საკონტაქტო პირი ირაკლი ნაკაიძე. აბონემენტების დაჯავშნის ბოლო ვადაა 30 აგვისტო. მათი ხელახალი დაჯავშნა და გაყიდვა მოხდება 7 სექტემბრიდან. აბონემენტის მფლობელებს საშუალება ექნებათ, დაესწრონ შესარჩევი ციკლის ყველა მატჩს, აგრეთვე თურქეთის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრას. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე 29 აგვისტოდან ამოქმედდება დაჯავშნული ბილეთების და აბონემენტების გაყიდვის სპეციალური სალარო.

უეფას მოთხოვნის შესაბამისად, ბავშვები სტადიონზე უფასოდ არ დაიშვებიან.

ბილეთების და აბონემენტების ფასები:

ბილეთი — 80	აბონემენტი — 310	ბილეთი — 30	აბონემენტი — 115
ბილეთი — 50	აბონემენტი — 200	ბილეთი — 15	აბონემენტი — 63
ბილეთი — 40	აბონემენტი — არ არსებობს	ბილეთი — 7	აბონემენტი — 32

საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა — I წრე. 4 ტური

მცხეთა. 27 აგვისტო. 17 საათი. არმაზი. 500 მაყურებელი

ვიტ ჯორჯია 3:0 ზესტაფონი

1:0 გელაშვილი (32), 2:0 ფეიქრიშვილი (87), 3:0 სახოკია (90)	
ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ლომაია, გველესიანი, ფეიქრიშვილი (ჯაფარიძე 89), დილმელაშვილი (ლ. რაზმაძე 84), ლუჭაშვილი (გ. მელქაძე 69), სახოკია, გელაშვილი, გ. დათუნაიშვილი. *სათადარიგონი:* მიქაბერიძე; ადამაძე, ბერიაშვილი, ბეჭვაია. მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე	ზესტაფონი: გ. ჭანტურია, ს. თოდუა, შ. ლონლაძე, ხიდეშელი, კ. ჩხეტიანი, გ. ჭელიძე (ნ. კვასხვაძე 88), ბჟალავა, გ. თურმანიძე (იმედაძე 73), ბ. ნოზაძე (ბ. გოცირიძე 68), ფიფია, იონანიძე. *სათადარიგონი:* რ. კვასხვაძე; ძამსაშვილი. მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი
გაფრთხილება: პ. დათუნაიშვილი (23), ჭანტურია (86), იონანიძე (90)	
მსაჯები: მ. მაისურაძე; ლ. მიქელაძე, ლ. თოდრია; ო. მოლოდინაშვილი	

ბოლოს სოლო იყო
საკონტროლო გასროლა ზაზა სახოკიამ იკისრა

ბაჩო სვანიძე მცხეთიდან

„ძალიან ლამაზი, საინტერესო და დაძაბული მატჩი გამოვიდა. ფაქტობრივად, საქართველოს ჩემპიონატის ორი საუკეთესო გუნდი თამაშობდა და ღირსეულმა გაიმარჯვა" — გვითხრა საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა ნამატჩევს.

ტოპმიოლერი მცხეთაში ტურის მთავარი მატჩის საყურებლად თანაშემწე რალფ მინგესთან, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცთან, გენმდივან უჩა უგულავასთან და ნაკრები გუნდების მენეჯერ თამაზ ბოკერიასთან ერთად მოვიდა.

ტოპმიოლერი აშკარად კმაყოფილი იყო მართლაც საინტერესო მატჩით, მაგრამ ვერაფრით იქნებოდა კმაყოფილი ეროვნული ნაკრების მეკარე გრიგოლ ჭანტურიას ქცევით. ჭანტურია კარგ ფორმაშია, წინა ტურში რუსთავის „ოლიმპთანაც" მაგრად იდგა და მისი დამსახურებაც იყო, „ზესტაფონს" გუშინდლამდე გოლი რომ არ გაეშვა. გუშინ კი იმერლებმა ერთბაშად სამი გოლი მიიღეს, ჭანტურია კი მატჩის ბოლო წამებზე წითელ ბარათს გადაურჩა. მსაჯი უკვე საფინალოდ აპირებდა ჩასტვენას, როცა ზესტაფონელი ზურაბ იონანიძე ლამის ვიტელთა კარიდან გამოეკიდა გიორგი დათუნაიშვილს და მოედნის ცენტრში მოცელა. იონანიძე და დათუნაიშვილი წაკამათდნენ, მსაჯმა თითქოს ჩააცხრო ვითარება. ამ დროს კი „საქმეში" ჭანტურია ჩაერია, რასაც გუნდური გაწევ-გამოწევა მოჰყვა. ჩოჩქოლი რომ დაკა-დაკაში არ გადაიზარდა, ეს გამშველებელთა დამსახურებაა.

ამ ინციდენტმა ცოტა წაახდინა ეს სანახაობრივი მატჩი, რომელიც სრულიად დამსახურებულად მოიგეს მასპინძლებმა. სხვათა შორის, „ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელი მერაბ კოჭლაშვილი ადრე სწორედ ვიტელებს თავკაცობდა და „ვიტ ჯორჯიამ" სწორედ მის ხელში იჩემპიონა ორი წლის წინ.

კოჭლაშვილმა სხვებზე არანაკლებ იცის თავისი ყოფილი გუნდის ავ-კარგი, მაგრამ გუშინ მშვენივრად მოთამაშე ვიტელებს ვერც მან მოუძებნა გასაღები.

მასპინძლებმა თავიდანვე მრავალფეროვნად შეუტიეს სტუმრებს. ჯერ ვიტელთა თავდამსხმელმა ნიკოლოზ გელაშვილმა საჯარიმოს მისადგომებიდან დაარტყა სახიფათოდ, მერე მოედნის ცენტრში პაატა დათუნაიშვილმა იბრძოლა, ბურთი ზაზა სახოკიას გაატანა, ვინც ოციოდ მეტრიდან უმიზნებდა ზესტაფონელთა კარს, მაგრამ ბურთი აეჭრა.

რამდენიმე წუთში სახოკიას შეეძლო, გოლის თანაავტორი გამხდარიყო — ვიტელთა სწრაფმა გარემარბმა მარჯვენა ფლანგზე ჩაიქროლა და მოზომილად უპასა დავით დილმელაშვილს, რომელმაც 11-მეტრიანის ნიშნულიდან ოდნავ გადააცილა ხარიხას.

დილმელაშვილმა შეცდომა მალევე გამოასწორა. მატჩის გამორჩეულმა მოთამაშემ მოედნის ცენტრში მიიღო ბურთი, ზესტაფონელთა კარისკენ დაიძრა და დიდოსტატური პასით მეტოქის მცველებს ზურგს უკან გელაშვილს ბურთი, რომ იტყვიან, ფეხზე დაასვა, მან კი 4-5 მეტრიდან ისეთი დააჯახა, ერთი კი არა, ორი ჭანტურია ვერ აიღებდა — ბურთი ძელიდან ასხლეტით შევარდა ზესტაფონელთა კარში.

გაშვებულ გოლს „ზესტაფონი" არ გამოუცოცხლებია. ძალიანაც რომ გვინდოდეს, პირველ ტაიმში სტუმართა ერთ მწვავე შეტევასაც ვერ ვიხსენებთ. კარში კი არა, კარისკენ ისე რა დარტყმებიც თითზე ჩამოეთვლებოდათ ზესტაფონელებს.

ვითარება შესვენების შემდეგ შეიცვალა. „ზესტაფონი" უფრო მობილური და სახიფათო გახდა. ძალიან გააქტიურდა სტუმართა მოუღლელი შემტევი გოგი ფიფია. ერთ ეპიზოდში დიდებულად ჩაუდრიბლინგა მეტოქის მცველებს, მეკარესთან პირისპირ გავიდა, დაარტყა კიდეც, მაგრამ გრიგოლ ბედიაშვილი თითის წვერებით შესწვდა ბურთს, რომელიც ძელმა უკუაგდო, დამატებაზე კი იმავ ფიფიამ ხარიხას გადაავლო ბურთი. სამ-ოთხ წუთში ზესტაფონელებმა კუთხური ჩააწოდეს, ორ თბილისელს შორის მოქცეულმა ტანმორჩილმა მირზა ბჟალავამ კი ურთულესი მდგომარეობიდან ბურთი თავით ხარიხას გაარტყა. ცოტა ხანში შეცვლაზე შესული გრიგოლ იმედაძე საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დატოვეს თბილისელებმა, მაგრამ ჩაკიდებულ ბურთს იმერელთა ფორვარდმა ფეხი უხეიროდ დაუხვედრა.

მატჩის გადამწყვეტი მომენტი საფინალო სასტვენამდე ხუთი წუთით ადრე დადგა. ვიტელთა ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი ფეიქრიშვილმა მოედნის ცენტრში ფიფიას აართვა ბურთი, იქვე მოხდენილად გასცდა გიორგი ჭელიძეს, მეტოქის საჯარიმოს მიუახლოვდა და გახსნილი თანაგუნდელი რომ ვერ ნახა, კარისკენ დაარტყა. დარტყმულს მცველები გადაელობნენ, მაგრამ ბურთს ისევ ფეიქრიშვილი დაეუფლა, საჯარიმოში შეიჭრა და ჭანტურიას შანსი არ დაუტოვა.

წერტილი კი ზაზა სახოკიამ დასვა — მთელი გუნდით წინ წასულ ზესტაფონელებს ვიტელთა მოიერიშე გაეპარათ, მოედნის ცენტრში კარიდან შორს გამოსულ ჭანტურიას სახოკიამ იოლად აუარა გვერდი და დაუცველ კარში ბურთის შეგორება აღარ გასჭირვებია.

საქართველოს უმაღლესი ლიგა 18 ჩემპიონატი

I წრე. 4 ტურ

ბადრი კეშილავის ფოტო

ბესიკ ჩიმაკაძემ პირველი უმაღლესლიგური გაიტანა

გოდების კედელი შეილესა, საგოდებელი ჯერაც ბევრია

ამერი დილას დამჯდარიც ეყო

კოტე კეკელია გორიდან

დაახლოებით შარშან ამ დროს იყო, ჯერ გოჩა ძასოხოვი, მერე კი გიორგი ნემსაძე რომ იხვეწებოდნენ, „დილა“ მოგვაბარეთ, წელში გავმართავთო. ჯერ ერთს, მერე მეორეს გუბერნიაში უარი უთხრეს და... „ცხინვალი“ რეგიონულ ლიგაში გადავარდა და „დილაც“ ამავ გზაზეა. თუმცა, რომ არ შემოგვედავონ, რაღაც-რაღაცებს ხომ მაინც ვაკეთებთო, მოგახსენებთ, რომ ამ ერთ წელიწადში სტადიონის გალავნის წლობით შეულესავი ცნობილი „გოდების კედელი“ გაულესიათ...

გორში „ამერი“ სახეცვლილი შემადგენლობით ჩავიდა. გუშინ ამერული დებიუტი ჰქონდა თურქეთიდან დაბრუნებულ გივი დიდავას, რომელიც გიორგი ჩიხრაძემ ოთხი მცველის წინ, საყრდენად ათამაშა. ოთხი დღით ადრე „ჰერტასთან“ ნათამაშევი სასტარტო შემადგენლობიდან კი გორულ სასტარტოში მხოლოდ მეკარე ზურაბ ქვაჩახია და კაპიტანი გიორგი დავითნიძე იყვნენ. დანარჩენები ან სათადარიგოებად გამწესდნენ ან საერთოდ არ იყვნენ 18-კაციან განაცხადში. გიორგი ელბაქიძე კი დისკვალიფიკაციას იხდიდა.

„დილას“ ერთადერთი შანსიც ეს უნდა ყოფილიყო, მაგრამ თამაში დაიწყო და რამდენიმე წუთში ცხადი გახდა, რომ „დილას“ გადაყლაპვას „ამერის“ მეორე შემადგენლობაც ეყოფოდა.

პირველ ტაიმში მასპინძლებს ზურაბ ქვაჩახია, ფაქტობრივად, არ შეუწუხებიათ. „ყვითლების“ მეკარემ ერთხელ ფლანგური გადაცემა ჩაჭრა, ხოლო კარში პირველად რომ დაურტყეს, 44-ე წუთი იყო.

სტუმრებმა კი ამ პერიოდში, ანუ პირველ ტაიმში, ორი გოლი გაიტანეს. ორივე დაახლოებით ერთნაირი: ფლანგიდან ჩაწოდება და თავური. პირველ გოლზე ჩაწოდება გიზო ჯელაძისა იყო, საგოლე თავური კი დიმიტრი ტატანაშვილისა; მეორე გოლი კი იური გაბისკირიამ და თენგიზ ჩიკვილაძემ შექმნეს.

პირველ ტაიმში ერთი ისეთი ეპიზოდიც იყო, იშვიათად რომ ნახავთ: გაბისკირიას დარტყმული ბურთი ხარიხას მოხვდა და კარის ხაზზე დავარდა. საინტერესო კი ის არის, რომ გაბისკირიამ მოედნის ცენტრიდან დაარტყა.

გორი. 27 აგვისტო. 17 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 200 მაყურებელი

დილა 1:4 ამერი

0:1 ტატანაშვილი (15), 0:2 ჩიკვილაძე (28), 0:3 ჩიმაკაძე (82), 0:4 დოლიძე (84), 1:4 ნოზაძე (88)

დილა: გეგეშიძე (კეჩხუაშვილი 46), კობახიძე, მასურაშვილი, გ. ლომიძე (ბალიაშვილი 46), ოლგესაშვილი, საყვარელიძე, ნ. ნოზაძე, სადაღაშვილი, ტლაშაძე, კურტანიძე (ვარდოსანიძე 65), მძინარიშვილი
სათადარიგონი: გ. წინამძღვრიშვილი, ი. თომაშვილი, დ. ნადირაძე, აბრამიშვილი
მწვრთნელი: რევაზ მამესწარაშვილი

ამერი: ქვაჩახია (ლ. ნადირაშვილი 65), კედელაშვილი, დავითნიძე, გვაძაბია, ჩიკვილაძე, სილაგავა, დიდავა, გაბისკირია, გ. ჯელაძე (დოლიძე 70), ტატანაშვილი, სევასტოპულო (ჩიმაკაძე 78)
სათადარიგონი: დეკანოსიძე, რ. წინამძღვრიშვილი, ბოლქვაძე, დობროვოლსკი
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

გაფრთხილება: ოლგესაშვილი (48)

მსაჯები: ჯ. ბუიშვილი; ზ. ხუციშვილი, ა. კოკაია; მ. ბეუქლიშვილი

დამკვირვებელი: მ. მაღლაფერიძე

შესვენების მერე თამაშის ხასიათი დიდად არ შეცვლილა. მასპინძლები მარცხს შეეგუვნენ და ორი ბურთით დაწინაურებულ მეტოქესაც არ მოუკლავს თავი. თანაც გორში გვარიანად ცხელოდა.

თუმცა არც უმომენტობა იყო. ტატანაშვილმა ერთი-ორჯერ, კარგ დასარტყმელ პოზიციაზე რომ გავიდა, პასის მიცემა ამჯობინა. გიორგი სილაგავამ ერთხელ პირისპირ შეყრილ მეკარეს გაარტყა, ერთხელაც ნაღდი გასატანი კარს ააცილა.

მომდევნო ორი გოლი კი შეცვლაზე შესულებმა გაიტანეს. 18 წლის ბესიკ ჩიმაკაძისთვის ეს მხოლოდ მესამე მატჩი იყო უმაღლეს ლიგაში, პირველი უმაღლესლიგური გოლი კი მოედანზე შესვლიდან ოთხ წუთში შეაგდო. აქედან ორ წუთში გრიგოლ დოლიძის დარტყმული ბურთი ასევე შეცვლაზე შესულმა მეკარე ბესიკ კეჩხუაშვილმა თითქმის მოიგერია, მაგრამ თითქმის საკმარისი არ გამოდგა — ბურთი მეკარის ხელიდან შევარდა კარში.

ბოლოს კი „დილამ“ ერთი გოლი მაინც გაიტანა. ნოდარ ნოზაძის საჯარიმო დარტყმისას ამერელთა ცოცხალი კედელი დაიქსაქსა და ასევე შეცვლაზე შესული მეკარის ლადო ნადირაშვილის ნახტომი ეფექტური, მაგრამ ამაო გამოდგა.

ამ გოლმა „დილას“ პრესტიჟი ვერ გადაარჩინა. „ამერი“ კი ჩემპიონატის ერთადერთ ქულადაუკარგავ გუნდად და, შესაბამისად, ერთპიროვნულ ლიდერად რჩება.

ალექსანდრ ეფრემიძის ფოტო

გივი დიდავას ამერული დებიუტი გორში შედგა

ხუნიორსები სუფთა ჰაერზე მოდიან

აბა, ბორჯომშია ბუენოს აირესი

ბორჯომი. 27 აგვისტო. 17 საათი. ჯემალ ზეინკლიშვილი

ბორჯომი 3:4 მერანი

1:0 ჯიქია (13), 1:1 გაგუა (26), 1:2 მჭედლიშვილი (57), 1:3 ბურჯანაძე (71), 1:4 კარსანიძე (80), 2:4 საჯაია (84ჯ), 3:4 კიკნაძე (89)

ბორჯომი: შეყრილაძე, საჯაია, ქარქოზაშვილი, დონდოლაძე (თედიაშვილი 64), ბაქრაძე, ნაკანი (ლაზარაშვილი 84), ნადირაშვილი, ავალიანი, დათვაძე, შ. ჯიქია, ი. კიკნაძე
სათადარიგონი: ჩაფიძე; გოგიჩაიშვილი, ტალახაძე, სუხიაშვილი
მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე

მერანი: გლუნჩაძე, ბესარაშვილი, თურქია, ოსეფაშვილი, სარალიძე, ფურთუხია, ლ. კვარაცხელია (ხურცილავა 33), გაგუა (მანწკავა 52), ბურჯანაძე, კარსანიძე, ქორიძე (თ. მჭედლიშვილი 52)
სათადარიგონი: სეფიაშვილი; დათუნაშვილი, ქემაშვილი, შველიძე
მწვრთნელი: დავით ეჯიბიშვილი

გაფრთხილება: ოსეფაშვილი (28), თედიაშვილი (70), კარსანიძე (81)

მსაჯები: ლ. კვარაცხელია; მ. ნაკაიძე, ზ. ერქვანია; კ. ჭაჭუა

დავით თავართქილაძე ბორჯომიდან

დაახლოებით თანაბარი ძალის მეტოქეთა შეხვედრაში სტუმრებმა რომ გაიმარჯვებს, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი კია, თუმც შედეგი ლოგიკური იყო — „მერანი“ უკეთ გაისარჯა და ძალიან მნიშვნელოვანი სამი ქულა მოიპოვა.

პირველ წუთებში ბორჯომელები ყოჩაღობდნენ და დაწინაურდნენ კიდეც სხარტი და მოხდენილი კომბინაციის შემდეგ, როცა შოთა ჯიქიას დავით დათვაძემ მიაწოდა საგოლე პასი. ამის შემხედვარე „მერანი“ შეტევაზე გადავიდაო, ასე არ ყოფილა, მაგრამ თამაში თანდათან გათანაბრდა და გამთანაბრებელი გოლიც გავიდა: ქორიძემ მარჯვენა ფლანგიდან გაგზავნა ბურთი კარის გასწვრივ, სადაც ვალერი გაგუა გაიხსნა კარგად და ახლოდან გატანაც არ გასჭირვებია.

შესვენების შემდეგ „ბორჯომი“ ისევ დაეუფლა მცირე უპირატესობას, თუმც მასპინძლებს სიმწვავე და აგრესიულობა აკლდათ.

„მერანი“ კი თითქოს მეტოქის შეცდომას ელოდა და, როცა შანსი მიეცა, იხეირა კიდეც — ედიკ საჯაიას შეცდომის შემდეგ თემურ მჭედლიშვილი აღმოჩნდა ბექა შეყრილაძესთან პირისპირ და 1:2.

ამან ნირი წაუხდინა „ბორჯომს“ და კიდევ ორი გოლი გაუშვა, რომელთაგან ზაზა კარსანიძისა იყო მეტად ეფექტური — 25 მეტრიდან მყისიერი დარტყმით ცხრიანში ააფართხალა ბურთი.

ბორჯომელებს ამის მერელა მიეცათ ფხა, თუმც ისიცაა, რომ „მერანი“ უკვე მოშვებული იყო. საჯაიამ ირაკლი კიკნაძის მონაგრებული პენალტი გაიტანა, ხოლო კიკნაძემ გლუნჩაძის კართან შექმნილი არეულობით ისარგებლა — 3:4.

შეიძლება ითქვას, „ბორჯომის“ გულშემატკივრებს ახლა მხოლოდ ერთი რამის ეიმედებათ — არგენტინასიან ახლო კონტაქტების მქონე ნიკო პატარქალიშვილის მცდელობით, შესაძლოა, „ბორჯომში“ ერთბაშად შვიდი არგენტინელი ლეგიონერი ჩამოვიდეს. გეხსომებათ, წინა სეზონში „ბორჯომში“ გონსალო დე პორასი და დარიო სებალე თამაშობდნენ და საკმაოდ წარმატებითაც.

საქართველოს 18 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

I წრე. 4 ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაბრამ დოლენჯაშვილის ფოტო

დავით გამეზარდაშვილი „ტორპედოს“ კართან კედელი იყო, „დინამოს“ კართან — ტორპედო

გამეზარდაშვილის ტორპედო დინამოს ცხრიანში მოხვდა

თბილისი. 27 აგვისტო. 18 საათი. მიხეილ მესხი. 500 მაყურებელი

დინამო 0:1 ტორპედო

0:1 გამეზარდაშვილი (90)

დინამო	ტორპედო
ლორია, შ. კაშია, გიგაური, გ. თომაშვილი, ამბროზიო (ს. იაშვილი 76), ნერგაძე (ჯ. დვალი 85), გ. მერებაშვილი, ჩირიკაშვილი, ს. კობახიძე, ბობოხიძე, ანგულო	კოდალაევი, ბერუაშვილი (დოლონაძე 64), ფარულავა, გამეზარდაშვილი, ზ. ჩხეტიანი, გ. ჩხეტიანი, კრასოვსკი, გურული, გოგია, ლაღაძე (ცქვიტაია 77), ჭედია (მ. ღონღაძე 59)
სათადარიგონი: გრიშიკაშვილი; გ. კაშია, ნავალოვსკი, ხუციშვილი, ურტადო	სათადარიგონი: ქვილითაია; ხორავა, ნ. ნადირაძე, ბ. კვერნაძე
მწვრთნელი: კახა კაჭარავა	მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი

გაფრთხილება: კოდალაევი (55), ლორია (88)

მსაჯები: ლ. სილაგავა; მ. ელიკაშვილი, ბ. ჭიჭინაძე; ვ. ელისაბედაშვილი

ირაკლი პერტაია

გნებავთ, სენსაცია უწოდეთ, გნებავთ, კანონზომიერება — ქუთაისის „ტორპედომ“ თბილისის „დინამო“ სტუმრად დაამარცხა და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის არცთუ მშვიდი ცხოვრება კიდევ უფრო დაამძიმა. „დინამო“ ხომ ყველა ჩემპიონატს პირველობის ამბიციით იწყებს და არც მე-18 ერთგული ყოფილა გამონაკლისი, მაგრამ... კახა კაჭარავას გუნდი 4 თამაშში უკვე 2-ჯერ დამარცხდა, ქუთაისელებმა კი წაგების გემო ჯერაც არ იციან და ახლა თავად განსჯეთ: „მიხეილ მესხზე“ სენსაცია იხილა გულშემატკივარმა თუ არა...

„დინამომ“, დიახაც, ათჯერ მეტი საგოლე მომენტი შექმნა, მოედნის ცენტრსაც ძირითადად თბილისელები აკონტროლებდნენ და ფლანგებზეც გვარიანად დაქროდნენ, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვება უფრო ყურადღებიანად და ზუსტად მოთამაშე ქუთაისელებს დარჩათ. იმერლებს ორი რეალური მომენტი შეექმნათ და აქედან ერთი გოლად აქციეს, დინამოელების გაცუდებული შანსების თვლას კი კარგი მათემატიკოსი სჭირდება...

მთელი თამაშის მინი-ვარიანტი იყო ბოლო ხუთწუთეული. არბიტრ ლაშა სილაგავას მიერ წამატებულ დროში სწორედ ის სცენარი გათამაშდა, რაც მთელი 90 წუთის განმავლობაში ვნახეთ: დინამოელები გამუდმებით უტევდნენ, ძირითადად მარჯვენა ფლანგიდან — ამბროზიოს აკლებული ჰყავდა „ტორპედოს“ მცველები და მოჭრილი ჩაწოდებებით ისე ბომბავდა ქუთაისელთა საჯარიმოს, როგორც გერმანელები ლონდონს — საბოლოოდ კი ვერც ვერაფერი დააკლო. ბრაზილიელის ჩაწოდებებს ძირითადად ეკვადორელი ხავიერ ანგულო უდარაჯდებოდა, მაგრამ რომელ ბურთსაც მისწვდა, ყველა ზეცაში გაუშვა.

ამ შტურმიანობაში თბილისელებს იმერლების რიგითი კონტრშეტევა გაეპარათ, ვითომ დიდი არაფერი, მაგრამ გოლი კი გამოცხვა. სპარტაკ გოგია მარჯვენა ფლანგიდან თითქოს არაფრით ემუქრებოდა დინამოელებს, მაგრამ მისი შურდულივით ჩაწოდებული უხერხულად მოიგერია გიორგი ლორიამ და ბურთი საჯარიმოს გარეთ მამუკა ღონღაძემ მოიხელთა. ის იყო, ღონღაძემ სისწრაფე აკრიფა, რომ ზედ საჯარიმოს მისადგომთან ეუხეშნენ და ჯარიმა...

93-ე წუთია: ქუთაისელები საჯარიმოს ათამაშებენ და დავით გამეზარდაშვილი უძლიერესი დარტყმით ცხრიანში აჭედებს ბურთს — 0:1 და დარჩენილი წუთები ისევ თბილისელთა შტურმში გაილია.

აი, ასეთი დამატებითი დრო გამოვიდა და, როგორც ვთქვით, მანამდელი 90-წუთეულიც თითქმის მსგავსი სცენარით წარიმართა. „ტორპედო“ დაცვაში იყო გამაგრებული და თავს ასე უფრო უსაფრთხოდ გრძნობდა. დინამოელებისთვის ხეირი არ მოჰქონდა, მაგრამ ისინი მაინც არ ეშვებოდნენ საჯარიმოში უთავბოლო ჩაწოდებებს. ქუთაისელები კი მეტოქეს ჰაერში ბურთს არ აკარებდნენ, ტანმაღალი გამეზარდაშვილი კედელივით იდგა.

სანამ ამბროზიო ითავებდა ფლანგურ სოლო-რეიდებს, მანამდე მიხეილ ბობოხიძე გადიოდა განზე და იქიდან ცდილობდა საჯარიმოში შავი თავის მოძებნას — ანგულო კი ინდომებდა, მაგრამ ქუთაისელ მცველებს მეორე სართულზე ვერ უძალიანდებოდა.

„დინამო“ რამდენჯერმე ცენტრიდანაც დაემუქრა „ტორპედოს“, ორი-სამი ხელსაყრელი საჯარიმოც მოინადირა, მაგრამ იმავ ამბროზიომ ერთხელაც ვერ ააცილა ქუთაისურ კედელს.

რევაზ ძოძუაშვილის დამოძღვრილი იმერლები კი იშვიათად უტევდნენ და თუ საქმე საჯარიმოებზე მიდგება, გამეზარდაშვილმა უფრო სახიფათოდ გაისროლა 25-30 მეტრიდან, ვიდრე გაცილებით ახლო მანძილიდან ამბროზიომ.

ასე იყო თუ ისე, „ტორპედომ“ დამსახურებულად გაიმარჯვა. შემადგენლობით გაცილებით ძლიერ „დინამოს“ გამჭრიახობით აჯობა და ჩემპიონობაზე მეოცნებე თბილისელები გვარიანად ჩააფიქრა.

პრესკონფერენცია

რევაზ ძოძუაშვილი: „დინამო“ მეტად რთულ ვითარებაში იყო, რადგან ფავორიტად ითვლებოდა. დიდი ფსიქოლოგიური ტვირთია, როცა შენგან უეჭველ მოგებას ითხოვენ, ჰოდა, მათაც ვერ გაუძლეს. ჩემი მოთამაშეების დამუხტვა კი ძალიან იოლი იყო, „დინამოს“ წინააღმდეგ ყველა გაორმაგებული ენთუზიაზმით თამაშობს და ამის მაგალითია დღევანდელი „ტორპედო“.

კახა კაჭარავა: ვულოცავ ქუთაისელებს ამ მნიშვნელოვან წარმატებას. ფეხბურთის დაუწერელი კანონია — ვერ გაიტან, გაგიტანენ და სწორედ ეს დაგვემართა. ზუსტად განვსაზღვრეთ, თუ როგორ ითამაშებდა „ტორპედო“, შესაბამისი ტაქტიკური მონახაზიც შევიმუშავეთ, მაგრამ აუარებელი საგოლე მომენტიდან ერთიც ვერ გამოვიყენეთ.

საჩხერე. 27 აგვისტო. 17 საათი. ცენტრალური. 2 000 მაყურებელი

ჩიხურა 3:1 კახეთი

1:0 მარგალიტაძე (5), 2:0, 3:0 მიქაძე (25, 51), 3:1 სოსელია (89)

ჩომახიძემ ვერ გაიტანა პენალტი (44, მეკარე)

ჩიხურა	კახეთი
მამალაძე, მემარნიშვილი, ს. ბურნაძე, ლ. მერებაშვილი, თედორაძე, მარგალიტაძე, მესხი, თავბერიძე, სანიკიძე (სტეფანიშვილი 71), ჩომახიძე (ლ. ვაშაკიძე 55), მიქაძე (სულთანიშვილი 71)	ცინაძე, კევლიშვილი, კვირკველია (მარგველაშვილი 58), მაღლაკელიძე, ნ. დავითაშვილი, კობაიძე, იმერლიშვილი, ბ. ბურნაძე (ტეტიაშვილი 46), სოსელია, დ. ბურდული, სიხარულიძე
სათადარიგონი: დოლაძე; ეგაძე, ბრეგვაძე, კაკალაძე	სათადარიგონი: ჩახუტაშვილი, ლომიძე, ხიდაშელი, ცისკარიშვილი, ბიძინაშვილი
მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი	მწვრთნელი: ჯემალ მახარაშვილი

გაფრთხილება: მარგალიტაძე (30), სოსელია (37)

მსაჯები: დ. სანაია; ნ. რუსიშვილი, კ. გაბრიაძე; ბ. დოგრაშვილი

ალექსანდრე ფოტო

საჩხერელებმა პირველი უმაღლესლიგური სამი ქულით გაიხარეს

ოთარ აბესაძე საჩხერიდან

სამ შეხვედრაში არც ერთი მოგება, არც ერთი გატანილი ბურთი და ერთადერთი ქულა — ასეთი მარაგით დაუხვდა „ჩიხურა“ „კახეთს“.

ზემოიმერლებს პირველი გამარჯვება და პირველი უმაღლესლიგური გოლი ეწადათ და აისრულეს კიდეც მიზანი.

თავიდანვე გამოჩნდა, რომ „ჩიხურას“ ისტორიული გამარჯვების მოპოვება არ გაუჭირდებოდა. უკვე მე-5 წუთზე ედიშერ მარგალიტაძემ 25 მეტრიდან ულამაზესი გოლი გაიტანა და „ჩიხურას“ ისტორიაში ჩაეწერა.

საჩხერელთა უპირატესობა პირველნახევარში აშკარა იყო. თელაველთა კარში მეორე ბურთი კი 25-ე წუთზე გავიდა შოთა ჩომახიძის მარჯვნივ ჩაწოდებულ ბურთს გიორგი მიქაძემ თავი მიაყოლა და 2:0.

საჩხერელთაგან საუკეთესო მიქაძემ ტაიმის მიწურულს თერთმეტმეტრიანიც მოინადირა — კვირკველიამ იგი აკრძალული ილეთით შეაჩერა. ჩომახიძის დარტყმული მეკარე გიორგი ცინაძემ მოიგერია და მეორე ნახევარს თითქოს ინტრიგა შეუნარჩუნა, თუმცა „კახეთი“ არ ჩანდა ამ თამაშის გადამრჩენი.

51-ე წუთზე გიორგი მიქაძემ დუბლი შეასრულა, ლევან სანიკიძის კარგი გადაცემა შეირგო და გოლად აქცია. ამ მომენტში თელაველი მცველები ხელოვნურ თამაშგარეს აკეთებდნენ, თუმცა უხეიროდ...

„კახეთი“ თავისას მაინც ეცადა და რაც ენჯერმე მეკარე ზურაბ მამალაძემ გაისარჯა კარგად.

თელაველებმა ბოლოს მაინც მოახერხეს პრესტიჟის გოლის გატანა — მიხეილ სოსელიამ მამალაძეს აუღებელი დაურტყა.

პრესკონფერენცია

ჯემალ მახარაშვილი: ვულოცავ „ჩიხურას“ უმაღლეს ლიგაში პირველ გამარჯვებას. საჩხერელებს ნამდვილად კარგი გუნდი ჰყავთ. ახალი შექმნილი გუნდია და, ვფიქრობ, სტარტიც ამიტომ არ იყო დამაჯერებელი. რაც შეეხება ჩემს გუნდს, ხუთი ფეხბურთელი გვაკლდა ტრავმების გამო, თუმცა ეს სულაც არ აკნინებს „ჩიხურას“ გამარჯვებას.

ხვიჩა ქასრაშვილი: ჩვენს გულშემატკივრებს მივულოცავ პირველ გამარჯვებას. დღეს ნამდვილად დავიმსახურეთ ასეთი შედეგი. იმედი მაქვს, ეს არ იქნება ჩვენი ბოლო გამარჯვება.

ამერი	4	4	0	0	9:1	12
ოლიმპი	4	3	1	0	9:0	10
ვიტ ჯორჯია	4	3	1	0	9:4	10
ტორპედო	4	2	2	0	3:1	8
ზესტაფონი	4	2	1	1	5:3	7
დინამო	4	2	0	2	9:4	6
მერანი	4	2	0	2	6:9	6
ბორჯომი	4	1	1	2	7:8	4
ლოკომოტივი	4	1	1	2	4:5	4
ჩიხურა	4	1	1	2	3:5	4
სიონი	3	1	0	2	4:4	3
ბათუმი	3	0	1	2	1:3	1
დილა	4	0	1	3	2:13	1
კახეთი	4	0	0	4	3:14	0

ბათუმი. 28 აგვისტო. 17 საათი. დინამო

ბათუმი — სიონი

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი; კ. ტეფნაძე, გ. ცირდავა; დ. ხარიტონაშვილი

ვაჭების ბადე

ფედერერი (1) — ვანგი
ჰენმანი — რუზეცკი
მიულერი — სპადეა
ბიორკმანი (29) — ჯენკინსი
გაუდიო (21) — სეპი
ქუერეი — კოლშრაიბერი
გიკუელი — კ. როხუსი
ფერერო (16) — ბასტლი
ბერდიხი (12) — პაშანსკი
მაიერი — კუბეკი
დელ პოტრო — ფალა
ტურსუნოვი (23) — კუნიცინი
კალერი (28) — მოია
მატიო — გუდელი
გაბაშვილი — დანიელი
ბლეიკი (5) — მონაკო
ნალბანდიანი (4) — ბერერი
ვიკი — საფინი
კორია — სვიტინგი
ო. როხუსი (26) — პატიენსი
ჯინეპრი (18) — ბენეტო
გოლდსტინი — ვიტენი
სლუტერი — ოდესნიკი
ჰაასი (14) — კუზნეცოვი
გონსალესი (10) — ვანეკი
ლლუჰი — ჰაჟეკი
მელცერი — დი მაურო
მიურეი (17) — კენდრიკი
ვლიგენი (32) — კუბოტი
სტარაჩე — ოკუნი
მაჰუ — შუტლერი
დავიდენკო (7) — დელგადო
ბალდატისი (8) — ვასკე
აგასი — პაველი
ბეკერი — ვოლანდრი
გროჟანი (30) — იოჰანსონი
ვერდასკო (22) — სანტორო
ზაბალეტა — ალვეში
პლესი — მარტინი
როდიკი (9) — სერა
ჰიუიტი (15) — მონტანიესი
კიმი — ჰერნიხი
ფიში — გროილი
ჯოკოვიჩი (20) — იანგი
გასკე (25) — სიმონდსი
სიმონი — ბრაჩიალე
ჩიუდინელი — ვისენტე
ლუბიჩიჩი (3) — ლოპესი
რობრედო (6) — სარეტა
რამირეს-იდალგო — ლი
კარლოვიჩი — სოდერლინგი
ჩელა (31) — ვავრინკა
ჰრბატი (19) — იუენი
მასუ — სანგინეტი
მარახი — გიმელსტობი
ფერერი (11) — ალმაგრო
ნიემინენი (13) — მალისი
ფო — მორისონი
ნოვაკი — კლემანი
აკასუსო (24) — შრიჩაპანი
მონფილზი (27) — რასელი
მირნი — მუდი
გარსია-ლოპესი — ჰორნა
ნადალი (2) — ფილიპუსისი

1/32 · 1/16 · 1/8 · 1/4 · 1/2

US OPEN 2006

ამერიკის ღია ჩემპიონატი 2006. ჰარდი. საპრიზო 14 769 000 $

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგასი: იქნება ცრემლი და მადლობა ათასი



ცოტაც და, ანდრე აგასი საბოლოოდ დაემშვიდობება დიდ ჩოგბურთს

წლის უკანასკნელი სლემტურნირიც კარს მოგვადგა — დღევანდელი ღამიდან მოყოლებული, ორი კვირის განმავლობაში საჩოგბურთო ამქრის ჯანზე მყოფი ყველა წარმომადგენელი „ფლეშინგ მედოუზის“ კორტებზე დაეტაკება ერთურთს, ჩვენ კი დროის იგივე მონაკვეთში ლამაზი და დაძაბული სანახაობის ცქერით დატკბობა გველის.

წლევანდელი US open კი განსაკუთრებულია — ეს იმიტომ, რომ ტურნირის შემდეგ ჩოგბურთს აწ უკვე ლეგენდა კაცი, 37 წლის ანდრე აგასი გამოეთხოვება. ნიუ იორკში დიდი გამოთხოვებისთვის კი ემზადებიან, მაგრამ ორგანიზატორებსა და გულშემატკივრებს ეიმედებათ, რომ ამ ცერემონიის გამართვა რაც შეიძლება გვიან მოუწევთ. ერთი ეგაა, რომ წლეულს ვეტერანი ვერ არის ფორმაში და ამიტომაც ნაკლებად სავარაუდოა, შორს გაღწევა მოახერხოს. თუმც ჩოგბურთის ამ პროფესორისგან ყველაფერია მოსალოდნელი — აკი შარშან ფინალამდე მივიდა და ვინ იცის, იქნებ ახლაც ხმაურით გაიხუროს კარი.

ფავორიტი კი დამდეგ გათამაშებას ერთი ჰყავს და ყველას კარგად მოეხსენება მისი ვინაობა — „მხიარულ როჯერს“ წლეულს კი არ გამოუვიდა დიდი სლემის შეგროვება, მაგრამ უიმბლდონის მოგებით კიდევ ერთხელ დაიწყო სანუკვარი მიზნისკენ სვლა და ძნელი წარმოსადგენია, ნიუ იორკში შეჩერება ინდომოს. კი წააგო დიადმა შვეიცარიელმა ცინცინატიში და ამერიკულ ჰარდზე ორწლიანი და 55-მატჩიანი მოგებათა სერიაც შეწყვიტა, მაგრამ ეს, რამდენად პარადოქსალურადაც არ უნდა ჟღერდეს, სწორედ ფედერერის წისქვილზე ასხმას წყალს — უკეთესად კონცენტრირებაში დაეხმარება.

ვინ შეებრძოლება თანამედროვე ჩოგბურთის პირველკაცს? ესეც ცნობილია — ის ვინც არ უშინდება იმის შეგნებას, რომ ფედერერისნაირ ღმერთკაცს უგებს. ასეთი, თითქოს მარტო რაფაელ ნადალი იყო, ესპანელი ცისკარა, რომელმაც „ბოროტი“ დევ-შვეიცარიელი წლეულს ოთხჯერ, თან სულ ფინალებში დააჩოქა. თუმც ორიოდე კვირის წინ ალპელი ახალგაზრდა ენდი მიურეიმაც დასცა და ამ ბიჭსაც თითქოს უფრთხიან. მაგრამ ახალგაზრდა სკოტი ბობოლებთან სტაბილურად საომრად მზად ჯერჯერობით ნაღდად არ არის და ამიტომ გამარჯვების პრეტენდენტად ვერ ჩაითვლება.

ნადალი? ესეც ძნელი სათქმელია, რადგანაც პირნეელს რაღაც არ გამოსდის ოკეანისგაღმეთში ჩოგნაობა. ფედერერისთვის შეიძლება პრობლემებიც შეექმნა, მაგრამ დიდი შანსია, შვეიცარიელთან რანდევუმდე აიბარგოს „დიდი ვაშლიდან“ — მისი თამაშის შემყურეთათვის ძნელი სავარაუდოა, რომ რაფამ ფინალმდე მიაღწიოს. თუმც ამ კაცმა წლეულს უიმბლდონის ფინალმდე მიაღწია. არადა, ბალახზე თამაში მანმადე არც გამოსდიოდა და არც მოსწონდა. ასე რომ, მისგან ყველაფერია მოსალოდნელი.

მაგრამ ეს ყველაფერი ვარაუდი უფროა. დღეს კი ფედერერის მთავარ მოცილედ მაინც ენდი როდიკი მოჩანს. კაცი, რომელიც ზედ US open-ის წინ შევიდა ფორმაში და ცინცინატიში უბრალოდ იფრინა. ენდი-ბოიზე ჯიმი კონორსის დარიგებებმა ფრიად კარგი ზეგავლენა იქონია და ამერიკელთა მთავარი იმედიც ძველებურად ათამაშდა. როდიკმა თავისი ყუმბარმტყორცნიც წესრიგში მოიყვანა და იმედიანადაც არის — ჩემი სატურნირო შანსები ფრიად სოლიდურად გამოიყურებაო, ამას წინათ თქვა.

ნამეტანი დიდი იმედით მისჩერებიან ენდი-ბოის იანკები, რადგანაც ამერიკულ ჩოგბურთში კრიზისს დაუსადგურებია და ამის გაქარწყლება სწადიათ იქაურებს. როდიკის მეტი კი იანკებს სერიოზული დასაყრდენი ნაღდად არ ჰყავთ. ჯეიმს ბლეიკს წლეულს საუკეთესო სეზონი კი ჰქონდა, მაგრამ რად გინდა — სწორედ ახლა გამოიყურება ეს შავტუხა ბიჭი ამაზრზენად და თვეზე მეტია, არსად მეორე წრეზე შორს არ წასულა. ამის გამოა, როდიკი ლამის ერის იმედად რომ გამოაცხადეს.

დასახელებულ ბობოლათა დავაში ჩარევა ალბათ მარტო ივან ლიუბიჩიჩს თუ შეუძლია. ხორვატი სტაბილურია და არც სათამაშო ფორმას უჩივის, რის გამოც შორს გასვლის იმედიც აქვს. მაგრამ ამ ბალკანელის მაქსიმუმი ნახევარფინალი უნდა იყოს, რადგანაც საკმაოდ ერთფეროვანია, შესაბამისად ადვილი გასაშიფრიც და დაუმარცხებლადაც არ გამოიყურება.

არის შანსი, რომ ნიკოლაი დავიდენკომ გაიფაფხუროს. სამკვირიანი ტანჯვა-წამების შემდეგ მოსკოველი ამერიკულ ჰარდს გაუთავისდა და ნიუ ჰევენში იმარჯვა კიდეც. მართალია, მაგარსაფარი რუსის ჯილა არასოდეს ყოფილა, მაგრამ თამაში თუ წაუვიდა, ნებისმიერის მიბეგვა შეუძლია. ეს საკუთარ ტყავზე წლის დასაწყისში თვით ფედერერმა გამოსცადა — ავსტრალიაში დავიდენკოს ცოტა ფხა რომ გამოეჩინა, დიდი შანსი იყო, შვეიცარიელი ნახევარფინალს მიღმა დაეტოვებინა. ასე რომ, ამ კაცს ყველა უნდა უფრთხილდეს.

ყველა ჩემპიონი 1960 წლიდან

ჯიმი კონორსი

1960	ნილ ფრეიზერი
1961	რო ემერსონი
1962	როდ ლეივერი
1963	რაფაელ ოსუნა
1964	რო ემერსონი
1965	მანუელ სანტანა
1966	ფრედ სტოლი
1967	ჯონ ნიუკომბი
1968	არტურ ეში
1969	როდ ლეივერი
1970	კენ როზუოლი
1971	სტენ სმიტი
1972	ილიე ნასტასე
1973	ჯონ ნიუკომბი
1974	ჯიმი კონორსი
1975	მანუელ ორანტესი
1976	ჯიმი კონორსი
1977	გილერმო ვილასი
1978	ჯიმი კონორსი
1979	ჯონ მაკინროი
1980	ჯონ მაკინროი
1981	ჯონ მაკინროი
1982	ჯიმი კონორსი
1983	ჯიმი კონორსი
1984	ჯონ მაკინროი
1985	ივან ლენდლი
1986	ივან ლენდლი
1987	ივან ლენდლი
1988	მატს ვილანდერი
1989	ბორის ბეკერი
1990	პიტ სამპრასი
1991	შტეფან ედბერგი
1992	შტეფან ედბერგი
1993	პიტ სამპარსი
1994	ანდრე აგასი
1995	პიტ სამპრასი
1996	პიტ სამპრასი
1997	პატრიკ რაფტერი
1998	პატრიკ რაფტერი
1999	ანდრე აგასი
2000	მარატ საფინი
2001	ლეიტონ ჰიუიტი
2002	პიტ სამპრასი
2003	ენდი როდიკი
2004	როჯერ ფედერერი
2005	როჯერ ფედერერი

ამერიკის ღია ჩემპიონატი 2006. ჰარდი. საპრიზო 14 769 000 $

ამერიკას ქალების აღარ სჯერა

ტრავმებმა სერიოზული კორექტივები შეიტანა ქალთა სატურნირო ბადეში. ამან კი ქალთა შეჯიბრი საკმაოდ გააღარიბა, რადგანაც ნიუ იორკის კორტებზე ვერ გავლენ ქალთა ჩოგბურთის ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები, როგორებიც კიმ კლაისტერსი და ვენუს უილიამსი არიან. დიდი შანსია, ამათ ლინდსი დევენპორტიც დაემატოს.

ამ პირობებში ფავორიტის სტატუსი გაიმყარეს წლეულს სხვა სლემტურნირების ტრიუმფატორებმა — ამელი მორესმომ და ჟუსტინ ენენ-არდენმა.

არავინ მოიტყუოს თავი და არ იფიქროს, მორესმო ფორმაში არ არისო. მართალია, მხარბეჭინმა ფრანგმა მხოლოდ ნიუ ჰევენში ითამაშა და იქაც არცთუ შთამბეჭდავი იყო, მაგრამ მაინც უმთავრესი ფავორიტია. ეს კი იმიტომ, რომ ამელიმ სლემტუნრისთვის ასეთი პასიური მზადება წესად გაიხადა — ავსტრალიასა და უიმბლდონსაც თითქოს ცუდ სათამაშო ფორმაში შეხვდა, მაგრამ ტურნირების მიმდინარეობისას შევიდა ტონუსში და გადამწყვეტი შეხვედრები უმაღლეს დონეზე ჩაატარა. სავარაუდოდ, ახლაც ასე იქნება და მეორე სათამაშო კვირისთვის ფრანგი სხვათა მსხვრევის იშტაზე აუცილებლად მოვა.

ჟუსტინ ენენ-არდენი საომრად მზადაა

ენენმაც არ გადაუხვია ნაცად გზას და იგივე გააკეთა, რაც უიმბლდონის წინ — ახალ საფარს მიჩვევას დასვენება არჩია და მორესმოსავით მხოლოდ ტურნირის წინა კვირას გავიდა კორტზე. თუმც, ფრანგისგან განსხვავებით, ნიუ ჰევენში იმარჯვა და სასლემტურნიროდ კარგი განწყობაც შეიქმნა. ჯინკა ბელგიელი წლეულს მართლაც ძალიან რაციონალურად იყენებს ძალებს.

ბენილუქსელი ნიუ იორკში არნახული მოტივაციით ითამაშებს — ჯერ ერთი, მორესმოზე შური უნდა იძიოს ორი სლემტურნირის ფინალში წაგებისთვის; მეორე მხრივ კი, ის ერთადერთია ვისაც შეუძლია ჯერ კიდევ შეებრძოლოს ფრანგს წლის რეიტინგის სათავეში დასრულებისთვის, რაც ბენილუქსელს ერთიორად გაახელებს.

თავისის გატანას მარია შარაპოვაც რომ შეეცდება, უეჭველია. რუსი პრიმა სტაბილურად კი ახერხებს სლემტურნირებზე კარგად თამაშს და რეგულარულად გადის ხოლმე ნახევარფინალებში, მაგრამ უკვე რა ხანია, რაც ეს ბარიერი ვერაფრით დაუძლევია. მაშა „ფლეშინგ მედოუზის“ კორტებზე შარშანაც მშვენივრად ირჯებოდა, მაგრამ იქაც ამ ეტაპზე დაამუხრუჭეს. თუმც გასული წლის წარუმატებლობის მიზეზები წლეულს აღარ გადაეღობება — რუსს არც ტრავმა აწუხებს და კლაისტერსიც არ ითამაშებს. ამდენად, შარაპოვას ახლა ყველა პირობა აქვს წარმატების მისაღწევად, მით უმეტეს, დასვენებაც მოახერხა. ერთი ეგაა, რომ იქნებ სანტა ბარბარას პლაჟებზე როდიკთან კოტრიალი ძალიან გაუტკბა და რამდენად კარგ სათამაშო ფორმაშია, ძნელი სავარაუდოა.

ამერიკელები კი წლეულს რომ არიან, ასეთ უიმედო მდგომარეობაში კარგა ხანია, არ ყოფილან. რამდენიმე წლის წინ არათუ ფინალები, არამედ ნახევარფინალები მთლიანად იანკური იყო ხოლმე. ახლა კი გადამწყვეტ მატჩამდე მისვლა კი არა, ამერიკელები იმას ნატრობენ, რომელიმემ ორი-სამი წრე მაინც გაიაროსო. ვინუს უილიამსის არყოფნაზე უკვე მოგახსენეთ. ლინდის დევენპორტის თამაშიც ხომ საეჭვოა — ნიუ ჰევენის ფინალში ლინდსიმ ახლად მოშუშებული მხარი დაიზიანა და თამაში ვეღარ დაასრულა. უმცროსი უილიამსიც ეს-ესაა დაემშვიდობა ექიმთა კაბინეტებს და მისგან არც არავინ მოელის რაიმე განსაკუთრებულს. სხვა ძლიერი მეჩოგნე კი ამერიკელებს აღარავინ შერჩათ — ეშლი ჰაკლროუდს, ჯამეა ჯექსონსა და მისთანებს, აბა ვინ რა უნდა მოჰკითხოს.

არც შვეიცარიელები დარჩებიან განზე. უფრო ეს მარტინა ჰინგისს შეეხება, რადგანაც პატი შნიდერი ამ ბოლო დროს ვერ გამოიყურება ისე, როგორც საუკეთესო ათეულის წარმომადგნელს ეკადრება.

ჰინგისი კი თავისი კოხტა ჩოგბურთით ჩვეულებრივად სიახლესა და სილამაზეს შეიტანს ძალისმიერი თამაშის მოტრფიალეთა სამყაროში. თუმც, თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, შვეიცაირიელის შანსები საბოლოო წარმატებაზე მაინც მინიმალურია — ხანდახან ნამეტანი ფაქიზად თამაშობს, რის გამოც მორესმოს ან ენენისნაირ გიჟმაჟებთან ბავშვივით გამოიყურება.

სიურპრიზებს კი უპირველესად რუსებისგან უნდა ველოდოთ, რომლებმაც უკვე ტრადიციულად მთელი ლეგიონი მიავლინეს ნიუ იორკში. ამდენი სლავიდან ერთ-ერთი მაინც რომ გაისვრის, ეჭვი არავის ეპარება, თუმც ამის გაკეთების საუკეთესო შანსები მაინც სვეტლანა კუზნეცოვასა და ელენა დემენტიევას აქვთ. განსაკუთრებულად ეს უკანასკნელი იქცევს ყურადღებას, რადგანაც ლოს ანჯელესის ფინალში ძალიან სოლიდურად გამოიყურებოდა და მაშინდელივით საკუთარ მოწოდებაზე სტაბილურად თამაში თუ შეძლო, კიდევ საკითხავია, ფავორიტი ვინ იქნება.

დაბოლოს, არც ახალგაზრდა თაობის დავიწყება ეგების. ისეთი ახლად ამოსული ვარსკვლავები, როგორებიც ნიკოლ ვაიდიშოვა და ანა ივანოვიჩი არიან, სულაც არ ურიგდებიან ფავორიტთა ასეთ განაწილებას და ეცდებიან, ყველას დაუმტკიცონ, რომ უკვე მათი დრო დამდგარა და დანარჩენებს, ნებსით თუ უნებლიეთ, მოუწევთ მათთვის ასპარეზის დათმობა.

ბაბა ლომაჯვილი

ყველა ჩემპიონი 1960 წლიდან

1960	დარლინ ჰარდი
1961	დარლინ ჰარდი
1962	მარგარეტ სმიტი
1963	მარია ბუენო
1964	მარია ბუენო
1965	მარგარეტ სმიტი
1966	მარია ბუენო
1967	ბილი ჯინ კინგი
1968	ვირჯინია უეიდი
1969	მარგარეტ სმიტ-კორტი
1970	მარგარეტ სმიტ-კორტი
1971	ბილი ჯინ კინგი
1972	ბილი ჯინ კინგი
1973	მარგარეტ სმიტ-კორტი
1974	ბილი ჯინ კინგი
1975	კრის ევერტი
1976	კრის ევერტი
1977	კრის ევერტი
1978	კრის ევერტი
1979	ტრეისი ოსტინი
1980	კრის ევერტ-ლოიდი
1981	ტრეისი ოსტინი
1982	კრის ევერტ-ლოიდი
1983	მარტინა ნავრატილოვა
1984	მარტინა ნავრატილოვა
1985	ჰანა მანდლიკოვა
1986	მარტინა ნავრატილოვა
1987	მარტინა ნავრატილოვა
1988	შტეფი გრაფი
1989	შტეფი გრაფი
1990	გაბრიელა საბატინი
1991	მონიკა სელეში
1992	მონიკა სელეში
1993	შტეფი გრაფი
1994	არანჩა სანჩეს-ვიკარიო
1995	შტეფი გრაფი
1996	შტეფი გრაფი
1997	მარტინა ჰინგისი
1998	ლიდსი დევენპორტი
1999	სერენა უილიამსი
2000	ვენუს უილიამსი
2001	ვენუს უილიამსი
2002	სერენა უილიამსი
2003	ჟუსტინ ენენ-არდენი
2004	სვეტლანა კუზნეცოვა
2005	კიმ კლაისტერსი

შტეფი გრაფი

ქალების ბადე



კალათბურთი

ორადეას ოთხთა ტურნირი. ენტონი ალექსეს მემორიალი

საქართველომ რუმინეთს თასი წაართვა

რუმინეთი 62:81 საქართველო
19:26 9:24 18:22 16:9
საქართველო: ელისი (11), ა. ბოისა (3), მარკოიშვილი (18), ვ. ბოისა (20), უგრეხელიძე (8); სანიკიძე (17), ცინცაძე (7), შერმადინი (4), ტულუში (3)

ტურნირის გახსნის მატჩში ვილაც „ერგონომთან" სამარცხვინო წაგებამ ქართველები ისე გამოაფხიზლა, რომ მომდევნო ორი მეტოქე ჩვენებმა, რომ იტყვიან, მიწასთან გაასწორეს. თუ მეორე ტურში უნგრული „დებრეცენის" წაქცევა კანონზომიერება იყო, მემორიალის ფინალისდარ მატჩში მასპინძელთა ეროვნული გუნდის ასე იოლად დამარცხებას, ალბათ, ცოტა თუ ელოდა.

ქართველებთან მატჩამდე რუმინელებმა სერბული „ერგონომი" 35 ქულით დაამარცხეს და ბურთების ისეთი ბალანსი შეიქმნეს, რომ თავს უკვე ჩემპიონებად თვლიდნენ. მასპინძლებს ქართველებთან 17 და მეტი ქულით არ უნდა წაეგოთ და ტრაგიკულად დაღუპული ალექსეს სახელობის თასიც მათი იყო.

გორდონ ჰერბერტისა და ზაზა ფაჩულიას არყოფნას ვახტანგ ნაცვლიშვილისა და ლაშა გამყრელიძის ტრავმებიც დაერთო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქართველებმა ბრწყინვალედ ითამაშეს, ყველა კალათბურთელმა, რომელიც კი მოედანზე გავიდა, არნახული მონდომება გამოამჟღავნა და პირველი ტაიმის შემდეგ ჩვენები 22 ქულით დაწინაურდნენ.

„მესამე მეოთხედში 32 ქულითაც გავიჭერით წინ, მაგრამ მსაჯებმა ნამუსზე ხელი აიღეს და აშკარად მასპინძლებს უჭერდნენ მხარს — გვითხრა კალათბურთის ფედერაციის გენმდივანმა მერაბ რატიშვილმა — ერთ ეპიზოდში მსაჯთა მაგიდასთან მივედი და ვუთხარი, თასს გაჩუქებთ, ოღონდ ნორმალურად თამაშის უფლება მოგვეცით-მეთქი."

მიუხედავად აუტანელი მსაჯობისა, ქართველებმა საწადელს მაინც მიაღწიეს, რუმინელები 19, ანუ სასურველი სხვაობით დაამარცხეს და საქართველოში თავაწეულები გამობრუნდნენ.

ირაკლი ბერტაია

მსოფლიოს ჩემპიონატი 2006. იაპონია. 19 აგვისტო - 3 სექტემბერი



მიშელ გელაბალეს საფრანგეთი ანგოლას გადაარჩა

AFP

მერვედფინალი

26 აგვისტო

არგენტინა 79:62 ახ. ზელანდია
21:16, 16:13, 22:15, 20:18
არგენტინა: ჯინობილი (28), ობერტო (23 ქულა, 10 მოხსნა), სკოლა (10)
ახ. ზელანდია: დიკელი (15), პენი (11)

ლიტვა 71:68 იტალია
17:20, 19:15, 14:14, 21:19
ლიტვა: მაციაუსკასი (15), სონგაილა (12)
იტალია: დი ბელა (15 ქულა, 9 მოხსნა), როკა (15 ქულა, 8 მოხსნა)

თურქეთი 90:84 სლოვენია
20:19, 24:17, 16:24, 30:24
თურქეთი: ერდოგანი (24), გიონლუმი (11 ქულა, 8 მოხსნა), აქიოლი (11), პეკერი (10)
სლოვენია: უდრიხი (18), ნახბარი (14), ნესტეროვიჩი (14) ბეჩიროვიჩი (13), ბრეზეკი (11)

ესპანეთი 87:75 სერბეთი
20:10, 23:21, 23:21, 21:23
ესპანეთი: პ. გასოლი (19 ქულა, 15 მოხსნა), ფერნანდესი (18), კალდერონი (13)
სერბეთი: მილიჩიჩი (18 ქულა, 15 მოხსნა), მარინოვიჩი (15) რაკოჩევიჩი (11), პოპოვიჩი (10)

27 აგვისტო

გერმანია 78:77 ნიგერია
გერმანია: ნოვიცკი (23 ქულა, 9 მოხსნა), ოკულაია (19)
ნიგერია: იბეკვე (22 ქულა, 10 მოხსნა), მუონეკვე (16), ამოჟობი (15)

აშშ 113:73 ავსტრალია
27:23, 32:6, 29:20, 25:24
აშშ: ენტონი (20), ჯონსონი (18), ვეიდი (15), ბოში (12), ბეტიე (12)
ავსტრალია: ბოგუტი (20), ნივლეი (15)

საფრანგეთი 68:62 ანგოლა
17:6, 17:18, 15:11, 19:27
საფრანგეთი: ჟენიუ (16), გელაბალე (14), დიაუ (14)
ანგოლა: ალმეიდა (13), კიპრიანო (12), მორაიში (12), გომეში (11)

საბერძნეთი 95:64 ჩინეთი
11:18, 30:18, 26:6, 28:22
საბერძნეთი: პაპალუკასი (19), სპანოულისი (15), კაკიუზისი (11)
ჩინეთი: ვანგი (14), მინი (10), ჟუ (10)

მეოთხედფინალი

29 აგვისტო
არგენტინა — თურქეთი
ესპანეთი — ლიტვა

30 აგვისტო
საბერძნეთი — საფრანგეთი
აშშ — გერმანია

ველორბოლა

61-ე ვუელტა. 26 აგვისტო-17 სექტემბერი

პირველი ეტაპი. 26 აგვისტო. მალაგა. 7,3 კმ. გუნდური რბოლა
1. CSC (დანია) — 7 წთ და 36 წმ.
2. ილეს მალერასი (ესპანეთი) — +7 წმ.
3, მილარმი (იტალია) — +8 წმ.

მეორე ეტაპი. 27 აგვისტო. მალაგა — კორდობა. 176 კმ.
1. პაოლო ბეტინი (იტალია, ქვიკ სტეპი) — 4 სთ. 19 წთ. 31 წმ.
2. ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი)
3. ლუკა პაოლინი (იტალია, ლიქუიგასი) — ორივეს იგივე დრო

საერთო ჩათვლა
1. ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი) — 4 სთ. 27 წთ. 00 წმ.
2. პაოლო ბეტინი (იტალია, ქვიკ სტეპი) — +2 წმ.
3. სტიუარტ ოგრეიდი (ავსტრალია, CSC) — -7 წმ.

ფრენბურთი

მსოფლიო ლიგა. ფინალი 23-27 აგვისტო. მოსკოვი

ნახევარფინალი
ბულგარეთი 0:3 საფრანგეთი
(21:25, 20:25, 20:25)
რუსეთი 1:3 ბრაზილია
(19:25, 19:25, 29:27, 27:29)

მე-3 ადგილისთვის
რუსეთი 3:0 ბულგარეთი *(25:20, 25:19, 25:19)*

ფინალი
ბრაზილია 3:2 საფრანგეთი
(22:25, 23:25, 25:22, 25:23 15:13)

ჩოგბურთი

კაცები. ნიუ ჰევენი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 675 000 $

ნახევარფინალი
ნიკოლაი დავიდენკო (2, რუსეთი) — რობინ სოდერლინგი (15, შვედეთი) 7:6 6:2; აგუსტინ კალერი (10, არგენტინა) — ქავიე მალისი (13, ბელგია) 6:2 *(უარი)*

ფინალი
დავიდენკო — კალერი 6:4 6:3

ქალები. ნიუ ჰევენი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 600 000 $

ნახევარფინალი
ჟუსტინ ენენ-არდენი (2, ბელგია) — სვეტლანა კუზნეცოვა (5, რუსეთი) 6:3 6:3; ლინდსი დევენპორტი (7, აშშ) — სამანტა სტოსური (ავსტრალია) 7:6 7:6

ფინალი
ენენ-არდენი — დევენპორტი 6:0 1:0 *(უარი)*

რაგბი

სამი ერი 2006

სამხ. აფრიკა 26:45 ახ. ზელანდია
სამხ. აფრიკა: 3ლ: დეპრეცი, ფური (2); 1ბ: პრეტორიუსი; 3 სჯ: მონტგომერი (2); ჯეიმსი
ახ. ზელანდია: 5ლ: ტიალატა, მაკალისტერი, სივივატუ, მულიაინა, გიარი; 4გ: კარტერი; 4ს: კარტერი

სატურნირო ვითარება

ახალი ზელანდია	5	0	0	+68	22
ავსტრალია	2	0	3	+20	11
სამხრეთ აფრიკა	0	0	4	-84	1

კრივი

კობა გოგოლაძე NABO-ს ჩემპიონია

პროფესიონალურ რინგზე ჩატარებულ 21-ე ორთაბრძოლაში მეოცე გამარჯვება მოიპოვა ქართველმა მოკრივემ კობა გოგოლაძემ, ვისაც ჩრდილოეთ ამერიკაში „კობრას" მეტსახელით იცნობენ.

შაბათს ამერიკული დოვერის რინგზე გამართული ჩხუბი გოგოლაძესა და ფრედ ნილს შორის სატიტულო იყო — სასწორზე NABO-ს ვერსიით მჩატე წონის მოკრივეთა საჩემპიონო ქამარი იდო და 33 წლის ფოთელმა მეტოქეს შანსი არ დაუტოვა, მე-9 რაუნდში ნოკაუტით მოიგო და წელზე ნაკლებად პრესტიჟული, მაგრამ მაინც საჩემპიონო ქამარი შემოირტყა.

ავტორბოლა

ფორმულა 1. 57-ე მსოფლიოს ჩემპიონატი
მეთოთხმეტე ეტაპი

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

	ბაჰრეინი 12 მარტი	მალაიზია 19 მარტი	ავსტრალია 2 აპრილი	სან მარინო 23 აპრილი	ევროპა 7 მაისი	ესპანეთი 14 მაისი	მონაკო 28 მაისი	დ.ბრიტანეთი 11 ივნისი	კანადა 25 ივნისი	აშშ 2 ივლისი	საფრანგეთი 16 ივლისი	გერმანია 30 ივლისი	უნგრეთი 6 აგვისტო	თურქეთი 27 აგვისტო	იტალია 10 სექტემბერი	ჩინეთი 1 ოქტომბერი	იაპონია 8 ოქტომბერი	ბრაზილია 22 ოქტომბერი	ჯამი
1 ალონსო, რენო, ესპანეთი	10	8	10	8	■ 8	■ 10	■ 10	■ 10	■ 10	4	8	4	–	8					108
2 მ. შუმახერი, ფერარი, გერმანია	■ 8	3	–	■ 10	10	8	4	8	8	■ 10	■ 10	10	1	6					96
3 მასა, ფერარი, ბრაზილია	–	4	–	5	6	5	–	4	4	8	6	8	2	■ 10					62
4 ფიზიკელა, რენო, იტალია	–	■ 10	4	1	3	6	3	5	5	6	3	3	–	3					52
5 რაიკონენი, მაკლარენი, ფინეთი	6	–	8	4	5	4	–	6	6	–	4	■ 6	■ –	–					49
6 ბატონი, ჰონდა, დ. ბრიტანეთი	5	6	■ –	2	–	3	–	–	–	–	–	5	10	5					36
7 მონტოია, მაკლარენი, კოლუმბია	4	5	–	6	–	–	8	3	–	–	–	–	–	–					26
8 ბარიკელო, ჰონდა, ბრაზილია	–	–	2	–	4	2	5	–	–	3	–	–	5	1					22
9 ჰაიდფელდი, BMW ზაუბერი, გერმანია	–	–	5	–	–	1	2	2	2	–	1	–	6	–					19
10 რ. შუმახერი, ტოიოტა, გერმანია	–	1	6	–	–	–	1	–	–	–	5	–	3	2					18

კულჰარდი, დე ლა როსა — 14, ტრული — 10, ვილნევი — 7, ვებერი — 6, როსბერგი — 4, კლიენი — 2, ლიუცი — 1 ქულა

■ პოულ-პოზიცია

კონსტრუქტორთა თასი: *რენო 160, ფერარი 158, მაკლარენი 89, ჰონდა 58, ტოიოტა 28, BMW ზაუბერი 26, რედ ბული 16, უილიამსი 10, ტორო როსო 1*

რბოლის შედეგები

თურქეთის დიდი პრიზი
6 აგვისტო. სტამბოლი
დისტანცია 58 წრე — 309,356 კმ

1.	(1)	*მასა* (ფერარი)	1:28.51,082 (208,9 კმ/სთ)
2.	(3)	*ალონსო* (რენო)	ჩამორჩა 5,6
3.	(2)	*მ.შუმახერი* (ფერარი)	5,7
4.	(6)	*ბატონი* (ჰონდა)	12,3
5.	(11)	*დე ლა როსა* (მაკლარენი)	45,9
6.	(4)	*ფიზიკელა* (რენო)	46,6
7.	(15)	*რ. შუმახერი* (ტოიოტა)	59,3
8.	(13)	*ბარიკელო* (ჰონდა)	1:00,0
9.	(12)	*ტრული* (ტოიოტა)	1 წრით
10.	(9)	*ვებერი* (უილიამსი)	1 წრით
11.	(10)	*კლიენი* (რედ ბული)	1 წრით
12.	(8)	*კუბიცა* (BMW-ზაუბერი)	1 წრით
13.	(17)	*სპიდი* (ტორო როსო)	1 წრით
14.	(5)	*ჰაიდფელდი* (BMW-ზაუბერი)	2 წრით
15.	(16)	*კულჰარდი* (რედ ბული)	3 წრით

რბოლას გამოეთიშნენ

(22)	*ალბერსი* (MF 1)	გაიარა 46 წრე
(21)	*სატო* (სუპერ აგური)	41
(14)	*როსბერგი* (უილიამსი)	25
(20)	*იამამოტო* (სუპერ აგური)	23
(18)	*ლიუცი* (ტორო როსო)	12
(7)	*რაიკონენი* (მაკლარენი)	1
(19)	*მონტეირო* (MF 1)	0

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

პოული
მასა — 1:26,907 (221,1 კმ/სთ)

უსწრაფესი წრე
მ. შუმახერი — 1:28,005 (218,4 კმ/სთ)

კორტზე მას ბევრი რამ ეხერხებოდა

გადამწყვეტი მატჩების მომგები ბოლოს მაინც დამარცხდა

ავთანდილ გურასაშვილის ფოტო

ავთანდილ გურასაშვილის ფოტო

ცნობილი და სახელიანი კაცის გარდაცვალება მთელ ქვეყანას ამწუხრებს. სწორედ ასეთი ცნობილი და სახელიანი კაცი იყო თეიმურაზ კაკულია, რომელიც ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის მერე 59 წლისა აღესრულა. არადა, ამ ზამთარს ვრცელი ნარკვევი რომ მივუძღვენით, ინვალიდის ეტლში კი იჯდა, მაგრამ მის თვალებში ძველებური ცეცხლი კიაფობდა და მზერაშიც მებრძოლი სული გამოსჭვიოდა. ჟესტიკულაციაშიც ისეთ სიმკვირცხლეს ამჟღავნებდა, როგორსაც ახალგაზრდობაში, როცა კორტებზე დაქროდა და ევროპის ჩემპიონატების ექვსი ოქროს მედალი მოიგო, როცა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე თორმეტჯერ ავიდა, მსოფლიოს უნივერსიადაზეც გაიმარჯვა და კიდევ სხვა მრავალ საერთაშორისო ტურნირშიც.

მაშინ თეიმურაზ კაკულიას რომ გამოვემშვიდობე, ვიფიქრე, ამ კაცს ვინმე ინვალიდის ეტლისგან რომ გაათავისუფლებდეს, ალბათ ათასობით და იქნებ მილიონობით დოლარის მომტანი „მანქანის“ გაზრდა კიდევ შეძლოს-მეთქი.

„მანქანაში“ ვგულისხმობდი ლეილა მესხს, ვლადიმერ გაბრიჩიძეს, დავით კაჭარავას და ქართული ჩოგბურთის სხვა ოსტატებს, რომლებსაც თეიმურაზ კაკულია ავარჯიშებდა, რისთვისაც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭეს.

სამწუხაროდ, ბოლოს აღარავინ გამოჩნდა ღვთისნიერი, რომ კაკულია იმ ეტლისგან გაეთავისუფლებინა. არადა, მისი კიდევ ერთი ყოფილი შეგირდი ლადო ჩიხლაძე დღესაც წარმატებით თამაშობს დევისის თასზე, სადაც თავად თეიმურაზს არაერთი ისეთი გამარჯვება მოუპოვებია, რომელსაც სენსაციურს უწოდებდნენ.

ჩოგბურთის ძველ გულშემატკივარებს ალბათ ახსოვთ 1973 წელს მოსკოვში დევისის თასის გათამაშებაში თეიმურაზ კაკულიას გმირობის ამბავი. მაშინ საბჭოთა და ფრანგ ჩოგბურთელთა პაექრობისას გადამწყვეტი შეხვედრის წინ საერთო ანგარიში 2:2 იყო. ყველაფერი უნდა გადაწყვიტა კაკულიასა და აშკარა ფავორიტად მიჩნეული პატრიკ პრუაზის ბრძოლას, რომელიც კაკულიამ სამ სეტში 6:3 6:3 6:4 მოიგო და ეს უდიდეს სენსაციად იქნა მიჩნეული.

ზუსტად იგივე განმეორდა მომდევნო წელს დონეცკში ჩეხოსლოვაკიელებთან შეხვედრაში, როცა კაკულიამ ფრანტიშეკ პალას ორდღიან და ხუთსეტიან ბრძოლაში სძლია 6:3 4:6 6:4 2:6 6:4.

ანალოგიური ვითარება ვიხილეთ 1976 წელს თბილისში, როცა საკავშირო თასის გათამაშებაში საქართველოსა და რუსეთის გუნდებს შორის ანგარიში 2:2 იყო, გადამწყვეტი შეხვედრაში კი კაკულიამ მშრალი ანგარიშით 6:0 6:0 6:0 დაამარცხა ვლადიმერ ბორისოვი.

დევისის თასზე თეიმურაზ კაკულია საბჭოთა ნაკრებთან ერთად ორჯერ (1974 და 1976წ.) ნახევარფინალს მიადგა, მაგრამ იქ უკვე პოლიტიკა ჩაერია საქმეში და ჩოგბურთელებს შემდგომ ბრძოლებზე უარი ათქმევინეს. არადა, მათ ყველა დევისის თასის დაუფლებას უწინასწარმეტყველებდა.

თეიმურაზი თავადაც ამბობდა, ყველაზე კარგად გუნდური გამარჯვებები მახსენდება, სადაც გადამწყვეტი შეხვედრების ჩატარება მიწევდა და ასეთ პრინციპულ ბრძოლებს თითქმის მუდამ ვიგებდიო, მაგრამ თავის ურიცხვ ნადავლ თასებიდან ყველაზე მეტად ერთ, შედარებით მომცრო სასალათეს გამოარჩევდა, რომელიც 1978 წელს უიმბლდონის ტურნირზე მოიგო. მაშინ იმ ტურნირზე თავისებური, დამამშვიდებელი შეჯიბრებაც ეწყობოდა, რომელშიც I, II, III წრეში დამარცხებული ჩოგბურთელები თავიდან იწყებდნენ ბრძოლას და კაკულიამ სწორედ ასეთი ტურნირი მოიგო.

თეიმურაზ კაკულიას განსაკუთრებით კარგად ახსოვდა მრავალი წლის განმავლობაში მსოფლიოს პირველ ჩოგანთან, ლეგენდარულ ავსტრალიელ როდ ლეივერთან გამარჯვება, რომელსაც ახლანდელი მასტერსის მსგავს ტურნირში მიაღწია.

მიუხედავად ასეთი გამარჯვებებისა, თეიმურაზ კაკულია საბჭოთა კავშირის მეორე ჩოგანი იყო და თანამემამულე ალექსანდრე მეტრეველის ჩრდილქვეშ რჩებოდა, თუმცა მისთვისაც არაერთხელ მოუგია, მათ შორის ევროპის ჩემპიონატის ფინალში. ორივე ერთად კი მართლაც უძლეველი იყო. ამიტომაც კაკულია მუდამ სიამოვნებით იხსენებდა მეტრეველთან წყვილში თამაშს, თავად პირველი ჩოგანი კი მეორეზე ამბობდა:

„კაკულიასთან თამაში არ იყო ადვილი. კორტზე მას თითქმის ყველაფერი ეხერხებოდა. ამგვარ ჩოგბურთელებს უნივერსალებს უწოდებენ. მის თამაშს განასხვავებდა მაღალი ტექნიკა და ძლიერი ნებისყოფა. კაკულიას შეეძლო, სწრაფად გამოეცნო მოწინააღმდეგის ჩანაფიქრი და დროულად მიეღო კონტრზომები. გარდა ერთეულთა თანრიგისა, თეიმურაზი ბრწყინვალედ გამოდიოდა წყვილთა შეჯიბრებებში, სადაც მხოლოდ პარტნიორობას კი არ უწევდა თანაგუნდელს, არამედ შეეძლო, თამაში თავის თავზე აეღო, ეს კი ყველას როდი ძალუძს“.

აი, ასეთი ჩოგბურთელი იყო თეიმურაზ კაკულია და სამწუხაროდ, ამ დიდ ჩოგბურთელსა და მწვრთნელს ნაადრევად ვეთხოვებით.

ავთანდილ გურასაშვილი

სარგებელი კროკო

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		28 აგვისტო						
23:00	1	მიდლსბრო-პორტსმუთი	2.15	3.20	3.20	1.28	1.28	1.60
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		28 აგვისტო						
18:00	2	სანდერლენდი-ვესტ ბრომვიჩი	2.70	3.20	2.30	1.46	1.24	1.33
		ინგლისი. კონფერენსი						
		28 აგვისტო						
18:00	27	ბარტონი-საუთჰემტონი	1.70	3.40	4.30	1.13	1.21	1.89
18:00	28	დარ ენდ რედი-კემბრიჯი	1.90	3.30	3.30	1.20	1.20	1.64
18:00	29	ექსეტერი-ქრიუელი	1.70	3.50	4.20	1.14	1.21	1.90
18:00	30	გრეიუსენდი-ალტრინჩამი	1.90	3.30	3.40	1.20	1.21	1.67
18:00	31	ჰალიფაქსი-ჰარიფორდი	2.25	3.30	2.70	1.33	1.22	1.48
18:00	32	ნორთფილი-გრეისი	2.80	3.30	2.20	1.51	1.23	1.32
18:00	33	რაშდენი-იორკი	2.20	3.30	2.80	1.32	1.23	1.51
18:00	34	სტალბანსი-ტეფორდი	1.85	3.40	3.60	1.19	1.22	1.74
18:00	35	სტრეინჯერსი-ალდერშოტი	2.40	3.30	2.55	1.38	1.23	1.43
18:00	36	სტოკფორჯი-ფორეჩტ გრინი	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
18:00	37	ვეიმუთი-ოქსფორდი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
18:00	38	უოკინგი-კიდერმინსტერი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
		გერმანია. II ბუნდესლიგა						
		28 აგვისტო						
22:15	68	ბერგჰაუზენი-მიუნხენი 1860	3.70	3.30	1.85	1.74	1.23	1.18
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		28 აგვისტო						
23:00	308	სელტა-პარსელონა	4.70	3.40	1.70	1.97	1.24	1.13
		29 აგვისტო						
23:00	309	სევილია-ლევანტე	1.50	3.60	6.70	1.05	1.22	2.34
		პორტუგალია. სუპერლიგა						
		28 აგვისტო						
23:30	138	ს

ინგლისი
პრემიერლიგა
III ტური

ჩარლტონი 2:0 ბოლტონი

1:0 დ. ბენტი (65 პ); 1:1 დევისი (72); 2:1 დ. ბენტი (85)

ჩარლტონი: კარსონი, იუნგი, ელ კარკური, ჰრეიდარსონი, ტრაორე, ამბროზი (კიშიშევი 37), ჰიუზი, ფაიე, რიდი (მარკუს ბენტი 89), ჰასელბაინკი (ჰოლანდი 89), დარენ ბენტი

მწვრთნელი: იან დიუი

ბოლტონი: ისაკელაინენი, პედერსენი (ფაიე 78), ბენ ჰაიმი, მეიტე, ჰანტი (ტალი 75), კამპო, იანაკოპულოსი (ვაზ ტე 68), ნოლანი, სპიდი, დიუფი, დევისი

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

გაფრთხილება: ფაიე, დიუფი, იანაკოპულოსი, ბენ ჰაიმი, ნოლანი

გაძევება: ჰრეიდარსონი (28), დევისი (72)

მსაჯი: დინი

23 638 მაყურებელი

ფულემი 1:0 შეფილდი

1:0 ბალარდი (40)

ფულემი: ნიემი, როსენიორი, კრისტენვალი, პირსი, კედრიუ, ბრაუნი (რაძინსკი68), დიოპი, ბალარდი, ბოა მორტე, ჯონი (ჰელგიუსონი 67), მაკბრაიდი

მწვრთნელი: კრის კიულმენი

შეფილდი: ჯენი, ბრამბი (სომეილი 80), მორგანი, იაგილკა, ასსუორთი, მონტგომერი (ნეიდი 64), ტონგე (ქუინი 72), ლაიგერტვუდი, არმსტრონგი, ჰალსი, ვებერი

მწვრთნელი: ნილ უორნოკი

გაფრთხილება: დიოპი, ჰელგიუსონი, ბალარდი, ტონგე, ლაიგერტვუდი, ქუინი

მსაჯი: პოლი

18 362 მაყურებელი

უიგანი 1:0 რედინგი

1:0 ჰესკი (38)

უიგანი: კირკლანდი, ბოისი, ჰალი, დე ზეუვი, ბეინსი, ვალენსია, შარნერი, ლინძაატი (ჯეკნაფი 78), მაკკალოჩი, კამარა (ჯონოლი 20), ჰესკი (ჩიმბონდა 76)

მწვრთნელი: პოლ ჯუელი

რედინგი: ჰანემანი, მარტი, ინგიმარსონი, სოჯე, შორი, კი-ჰეიონი (ჰანტი 69), სიდუელი, ჰარპერი (ლონგი87), კონვი (ოსტერი 64), დოილი, ლიტა

მწვრთნელი: სტივ კოპელი

გაფრთხილება: ჰესკი, შარნერი, კი-ჰეიონი, სოჯე

მსაჯი: რაილი

14 636 მაყურებელი

ლივერპული 2:1 ვესტ ჰემი

0:1 ზამორა (12), 1:1 აგერი (42), კრაუჩი 45

ლივერპული: რეინა, ფინანი, ჰიიპია, აგერი, აურელიო, ჰენანტი (ზენდენი 82), ალონსო, ჯერარდი, ლუის გარსია (გონსალესი 60), ბელამი, კრაუჩი (კუიტი 52)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

ვესტ ჰემი: ჯეროლი, ჰენტსილი, ფერდინანდი, გაბიდონი, კონჩესკი (მირსი 81), ბოიერი, მულინზი, რეო-კოკერი (შერინგემი 82), ბენაიუნი, ზამორა, ჰარვუდი (კოული 73)

მწვრთნელი: ალან პერდიუ

გაფრთხილება: აურელიო

მსაჯი: ვაილი

43 965 მაყურებელი

ტოტენჰემი 0:2 ევერტონი

0:1 დევენპორტი (53 სკ), 0:2 ჯონსონი (66)

ტოტენჰემი: რობინსონი, ლი (დეფო 60), დოუსონი, დეფენპორტი, ასუ-ეკოტო , ლენონი, ჯენსენი, დავიდსი, ტაინიო (ზოკორა 74), ბერბატოვი, კინი

მწვრთნელი: მარტინ იოლი

ევერტონი: ჰოვარდი, ნევილი, იობო, ლესკოტი (ვეირი 84), ნეისმიტი, ოსმანი, კარსლი, არტეტა, კილბეინი, კუჰილი, ჯონსონი

მწვრთნელი: დეივიდ მოიესი

გაფრთხილება: დოუსონი, კილბეინი

გაძევება: კილბეინი (33)

მსაჯი: ჰალსი

35 540 მაყურებელი

უოტფორდი 1:2 მანჩესტერი

0:1 სილვესტრი (12), 1:1 ფრენსისი (34), 1:2 გიგზი (52)

უოტფორდი: ლი, დოილი, დემერიტი, შიტუ, პოუელი, იანგი, ფრენსისი, მაონი (ბანგურა 75), ბუაზა (სპრინგი 31), კინგი, ჰენდერსონი (სტიუარტი 65)

მწვრთნელი: ადრიან ბოთროიდი

მანჩესტერი: ვან დერ სარი, ბრაუნი, სილვესტრი, ფერდინანდი, ოში, კრიშტიანუ რონალდუ, ფლეტჩერი, კარიკი (რიჩარდსონი 75), გიგზი, საა, სოლსკიერი (ბარკი 59)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: მაონი, რიჩარდსონი

მსაჯი: დოუდი

19 453 მაყურებელი

დიდ სერთან პატარა კაცსა...

„ლივერპული“ — „ვესტ ჰემი“ 2:1. რეინამ კარი „დაკარგა“ და უცნაური გოლი გაუშვა

სიტი 1:0 არსენალი

1:0 ბარტონი (41 პ)

სიტი: ვივერი, რიჩარდსი, დანი, დისტინი, ჯორდანი, სინკლერი, ბარტონი, დაბო, ვასელი (მილსი 80), დიკოვი (სამარასი 86), კორდი (მილერი 90)

მწვრთნელი: სტიუარტ პირსი

არსენალი: ლემანი, ებუ (ფლამინი 83), ტურე, ჯურუ, ჰოიტი, როსიცკი, გლენბი (ადებაიორი 76), ფაბრეგასი, ჟილბერტო (უოლკოტი 66), ვან პერსი, ანრი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: ჯორდანი, ვან პერსი

მსაჯი: რენი

40 699 მაყურებელი

ბლეკბერნი 0:2 ჩელსი

0:1 ლამპარდი (50პ), 0:2 დროგბა (81)

ბლეკბერნი: ფრიდელი, ემერტონი, ნილი, ოიერი, ხიზანიშვილი, ბენტლი, სევიჯი, რიდი, ჰედერსონი (გალაჰერი 69), მაკარტი, რობერტსი

მწვრთნელი: მარკ ჰიუზი

ჩელსი: ჩეხი, რ. კარვალიუ, ბულარუზი, ტერი, ბრიჯი, მაკელელე (მიკელი 88), ესიენი, ბალაკი, ლამპარდი, კალუ (დროგბა 56), შევჩენკო (შ. რაიტ-ფილიპსი 83)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

გაფრთხილება: სევიჯი, ოიერი, ხიზანიშვილი, მაკელელე

მსაჯი: კლატენბურგი

19 398 მაყურებელი

ასტონ ვილა 2:0 ნიუკასლი

1:0 მური (3), 2:0 ანხელი (38)

ასტონ ვილა: სორენსენი, მელბერგი, ჰიუზი, რიჯველი, ვატინგემი, დეფისი, მაკანი, ბერი, მური, ანხელი, აგბონლაჰორი

მწვრთნელი: მარტინ ონილი

ნიუკასლი: გიგენი, ბრამბლი, კარი, მური, ბაბაიარო (ლუკე 45), სოლანო (ნზოგბია 45), ბარკერი, ემრე (ბატი 56), დაფი, მილნერი, მარტინსი

მწვრთნელი: გლენ რიოდერი

გაფრთხილება: ბერი, აგბონლაჰორი, ემრე, ბარკერი

მსაჯი: ვები

35 141 მაყურებელი

„უოტფორდი“ საკმაოდ შთაგონებული გახლდათ, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მაინც გაიმარჯვა. გამარჯვების გოლი კი, მეორე ტაიმში რაიან გიგზმა გაიტანა. გიგზმა, რომელიც მანჩესტერელების შემადგენლობაში მეექვსე შეხვედრას ატარებდა, მეტ სპრინგის შეცდომით ისარგებლა, მეკარე რიჩარდ ლი ჩამოიტოვა და ბურთი ბადეში შეაგდო.

შეხვედრის პირველი გოლი „იუნაიტედმა“ გაიტანა. ეს მოხდა მე-12 წუთზე, როდესაც ლუი საამ მიკაელ სილვესტრს პასი მიაწოდა და სილვესტრმაც ეს ფრანგული კომბინაცია კუთხეში დაბალი დამიზნებით დასრულა, თუმცა „უოტფორდი“, როგორც თავში მოგახსენეთ, ამ დღეს საკმაოდ შთაგონებული გახლდათ და პირველსავე ტაიმში ეშლი ანგის ჩაკიდებული ბურთი დემენ ფრენსისმა მრისხანე მეტოქის კარში გაიტანა.

მეტსაც გეტყვით, მეორე ტაიმის დასაწყისში „უოტფორდს“ დაწინაურებაც კი შეეძლო: მარლონ კინგის ჯარიმიდან ჩაწოდებული, ასხლეტით დარიუს ჰენდერსონს მიუვიდა და მანაც ბურთი კარის გასწვრივ გაჭრა, მაგრამ ვერც ზემოხსენებულმა ფრენსისმა და ვერც დენი შიტუმ ვერ მიჰკრეს ფეხი. საბოლოოდ, როგორც მოგახსენეთ, გიგზმა გაიტანა თავისი და გამოვიდა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედმა“, რაც ეს სეზონი დაიწყო, რამდენიც ითამაშა, იმდენჯერ გაიმარჯვა. კიდევ, გამოვიდა, რომ პრემიერლიგის ყველაზე ხანდაზმულმა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა, ყველაზე ახალგაზრდას, ბოთროიდს მოუგო — ფერგიუსონი 65 წლისაა, ხოლო ბოთროიდი — 35-ის.

ბოთროიდი: „დღეს რომ ვითამაშეთ, ასე კარგად სხვაგან არ გვითამაშია. ვიცი, რომ ჩემს ფეხბურთელებს ასე თამაში შეუძლიათ და მომავალში კიდევ უფრო კარგად ითამაშებენ. ხშირად მესმის როგორ ამბობენ მწვრთნელები, რომ ისინი მეტს ვერ მოითხოვენ, მე კი ასე არ ვარ. მე მეტს მოვითხოვ კიდეც და მივიღებ კიდეც, რადგან ფანტასტიკური მოთამაშეები მყავს. საშუალო დონეზე დარჩენა და „მანჩესტერ იუნაიტედთან“ მარად დამარცხება მე არ დამაკმაყოფილებს.“

ალექს ფერგიუსონი: „მეტოქემ ნაღდი ბრძოლა შემოგვთავაზა. როდესაც კონტრშეტევის საშუალება გვეძლეოდა, ბურთი უკეთ უნდა გვეკონტროლებინა. დღეს ნამდვილად მჭირდებოდა ვინმე, ვინც ბურთს ფეხში მოიგდებდა და ლაზათიანად გაათანაბრებდა, მაგრამ ეს ვერავინ მოახერხა. სამაგიეროდ, დღეს თქვენ ნახეთ „მანჩესტერ იუნაიტედი“, რომელიც თითოეული ქულისთვის იბრძვის და იმარჯვებს.“

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ამბისგან განსხვავდებოდა „ლივერპულის“ ამბავი. ჯერ ერთი, თუკი მანჩესტერელებმა „უოტფორდთან“ ანგარიში გახსნეს, „ლივერპული“ „ვესტ ჰემთან“ ჩამორჩა და ისეთივე ანგარიშით მოგებისთვის თამაშის შემოტრიალება დასჭირდა და მეორეც, „მანჩესტერზე“ მოგახსენეთ, რომ ყველა თამაში მოიგო, „ლივერპულმა“ კი პირველად ამ ტურში გაიმარჯვა. „ვესტ ჰემის“ გოლი მეკარე ხოსე რეინას ბრალი იყო, მან ბობი ზამორას ჩაწოდებული ბურთის ტრაექტორიას ალღო ვერ აუღო და საბოლოოდ ის თავის კარში შეაგდო, მაგრამ მერსისაიდელებმა იყოჩაღეს და შესვენებაზე უკვე 2:1-ით გავიდნენ. ანგარიში ჩინებული დარტყმით დანიელ აგერმა გაათანაბრა, ხოლო პიტერ კრაუჩის გოლი სტივენ ჯერარდისა და ლუის გარსიას კომბინაციას მოჰყვა.

მეორე ტაიმის დასაწყისში მწვრთნელმა რაფა ბენიტესმა კრაუჩი, 10 მილიონ გირვანქად ახალი ნაყიდი ჰოლანდიელი დირკ კუიტით შეცვალა და კუიტმაც ქომაგები არ ალოდინა, მართალია, შეხვედრაში გოლი აღარ გასულა, მაგრამ შთაბეჭდილება დაუყოვნებლივ მოახდინა.

ბენიტესი: „დირკმა დაუზარელად იმუშავა, ბევრი საგოლე მომენტი შექმნა. ასევე ითამაშა კრაუჩმა, მე კი, როგორც მწვრთნელს, ძალიან მიყვარს, როდესაც საქმე ასარჩევად არის. ეს ჩემი საყვარელი პრობლემაა.“

ალან პერდიუ, „ვესტ ჰემის“ მწვრთნელი: „ჩვენ ჩემპიონობის ერთ-ერთ ნამდვილ კანდიდატს ვეთამაშეთ და კარგადაც, მაგრამ სამწუხაროდ, ცარიელი დავრჩით.“

ცარიელი დარჩა „არსენალიც“. მეთოფეები „მანჩესტერ სიტისთან“ შეხვედრაში იმიტომ დაისაჯნენ, რომ საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს. მაგალითად, ტიერი ანრი ორჯერ იყო მანჩესტერელთა მეკარესთან პირისპირ და ვერცერთხელ ვერ გაიტანა, ხოლო რობინ ვან პიერსიმ ძელს გაარტყა ბურთი და ეს ყველაფერი მაშინ, როდესაც ანგარიში ჯერ კიდევ 0:0 იყო. აქ, არ შეგვიძლია, არ გამოვხატოთ ჩვენი დიდი იმედი, რომ ანრი შაბათს, თბილისში, საქართველოს ნაკრების წინააღმდეგაც ვერაფერს გახდება, მერე კი ფეხბურთის ღმერთები იყვნენ მისი მფარველი.

„სიტიმ“ გოლი 41-ე წუთზე პენალტით გაიტანა — ჯასტინ ჰოიტმა ტრევორ სინკლერი წააქცია, ხოლო ჯო ბარტონმა თერთმეტი მეტრიდან შეაგდო.

„მანჩესტერ სიტის“ მწვრთნელი სტიუარტ პირსი: „ლონდონელები იშვიათად აგებენ და ჩვენ ეს გუნდური ძალისხმევით მოვახერხეთ. „არსენალის“ დამარცხება კიდევ იმას ნიშნავს, რომ ბედი მწყალობს და იმედია, ეს წყალობა ერთხანს კიდევ გაგრძელდება.“

არსენ ვენგერი, „არსენალი“: „რაც შევქმენით, გოლით ვერ დავასრულეთ. ბოლო ორ შეხვედრაში ბურთს კარგად ვფლობთ, მაგრამ აქედან შედეგს ვერ ვიღებთ“.

პაპუნა კედია

მანჩესტერი	3	3	0	0	10:2	9
ასტონ ვილა	3	2	1	0	5:2	7
ევერტონი	3	2	1	0	5:2	7
ჩელსი	3	2	0	1	6:2	6
პორტსმუთი	2	1	1	0	3:0	4
ვესტ ჰემი	3	1	1	1	5:4	4
ლივერპული	2	1	1	0	3:2	4
ბოლტონი	3	1	1	1	3:3	4
სიტი	3	1	1	1	1:3	4
ფულემი	3	1	1	1	3:6	4
მიდლსბრო	2	1	0	1	4:4	3
უიგანი	2	1	0	1	2:2	3
რედინგი	3	1	0	2	4:5	3
ნიუკასლი	2	1	0	1	2:3	3
ტოტენჰემი	3	1	0	2	2:4	3
ჩარლტონი	3	1	0	2	3:6	3
არსენალი	2	0	1	1	1:2	1
უოტფორდი	3	0	1	2	3:5	1
შეფილდი	3	0	1	2	1:4	1
ბლეკბერნი	3	0	1	2	1:6	1

IV ტური

9-10 სექტემბერი

ვესტ ჰემი	:	ასტონ ვილა
არსენალი	:	მიდლსბრო
ბოლტონი	:	უოტფორდი
ჩელსი	:	ჩარლტონი
ევერტონი	:	ლივერპული
მანჩესტერი	:	ტოტენჰემი
ნიუკასლი	:	ფულემი
პორტსმუთი	:	უიგანი
რედინგი	:	სიტი
შეფილდი	:	ბლეკბერნი

ჩემპიონატი
V ტური

ქუინზ პარკი — იფსვიჩი 1:3; კარდიფი — ბირმინგემი 2:0; კოლჩესტერი — დერბი 4:3; კრისტალ პალასი — ბარნლი 2:2; ჰალი — ქოვენთრი 0:1; ლესტერი — საუთენდი 1:0; ნორვიჩი — ბარნსლი 5:1; საუთჰემპტონი — პრესტონი 1:1; სტოკი — პლიმუთი 1:1; ვულვერჰემპტონი — ლუტონი 1:0; უენსდი — ლიდსი 0:1; სანდერლენდი — ვესტ ბრომვიჩი დღეს გაიმართება

კარდიფი	5	3	2	0	6:2	11
ნორვიჩი	5	3	1	1	10:4	10
კრ. პალასი	5	3	1	1	9:6	10
ვულვზი	5	3	1	1	5:4	10
ბირმინგემი	5	3	1	1	5:4	10
ვესტ ბრომვიჩი	4	2	2	0	5:2	8
ბარნლი	5	2	2	1	6:4	8
პლიმუთი	5	2	2	1	7:6	8
ლიდსი	5	2	2	1	4:3	8
საუთჰემპტონი	5	1	4	0	7:5	7
ლუთონი	5	2	1	2	7:6	7
ლესტერი	5	2	1	2	4:4	7
ქოვენთრი	5	2	1	2	3:4	7
ბარნსლი	5	2	1	2	9:12	7
სტოკი	5	1	3	1	5:4	6
პრესტონი	5	1	3	1	5:5	6
საუთენდი	5	2	0	3	5:7	6
უენსდი	5	1	2	2	3:4	5
დერბი	5	1	2	2	7:9	5
ქუინზ პარკი	5	1	2	2	6:8	5
იფსვიჩი	5	1	1	3	5:7	4
კოლჩესტერი	5	1	0	4	7:10	3
ჰალი	5	0	1	4	3:8	1
სანდერლენდი	4	0	0	4	4:9	0

პირველი ლიგა
V ტური

ჰადერსფილდი — ნოტინგემი 1:1; ბლეკპული — ჯილინგემი 1:1; ბრედფორდი — როტერჰემი 1:1; ჩელტენენი — მილოული 3:2; ჩესტერფილდი — ტრანმერ 0:2; დონკასტერი — ბორნმუთი 1:1; ლეიტონი — სუონი 0:1; სკანთორპი — ბრენტფორდი 1:1; იეოვილი — პორტ ვეილი 1:0; ბრაიტონი — ქრიუ 1:4; ოლდჰემი — კარლაისლი 0:0

მეორე ლიგა
V ტური

აკრინგტონი — როჩდეილი 1:1; ბოსტონი — დიმსი 0:1; ბრისტოლი — შრიუზბერი 1:0; ბერი — გრიმსბი 3:0; ჰერეფორდი — ჰარტლპული 3:1; მაკლსფილდი — უიკომბი 0:2; მენსფილდი — ლინკოლნი 2:4; ნოთსი — პიტერბრო 0:0; სუინდონი — სტოკპორტი 2:0; ტორკი — ჩესტერი 2:2; უოლსოული — დარლინგტონი 1:0; რექსენი — ბარნეტი 1:1

კონფერენსლიგა
V ტური

ირკი — ბარტონ 3:2; ალდერშოტი — დეგენემი 1:1; ალტრინჩემი — სტ. ალბანი 2:0; კემბრიჯი — ჰალიფაქსი 1:2; ქროული — სტაფორდი 1:2; ფორქატ გრინი — გრეიქსენდი 0:1; გრეისი — ვოქინგი 3:0; კიდერმინსტერი — ვეიმუთი 0:1; მორეკამბი — სტივენეიჯი 3:3; ოქსფორდი — ნორსვიჩი 5:1; საუთპორტი — რაშდენი 1:2; ტამუორთი — ექსეტერი 1:0

ბაიერნი ვერ იგებს, ცხოვრება გრძელდება

„შტუტგარტი“ — „დორტმუნდი“ 1:3. კრინგეს გოლი ჰილდებრანდის კარში

გერმანია
ბუნდესლიგა
III ტური

ბოხუმი 0:1 კოტბუსი

0:1 და სილვა (85)

ბოხუმი: სკოვი, პალასი (გეკასი 72), მალტრიცი, დრსეკი, ბიონგი, დაბროვსკი, ზდებელი, ო. შრიოდერი (ი. ლიჩევიცი 59), ტროიანი (გროტე 81), მისიმოვიჩი, ფაბიო ჟუნიორი

მწვრთნელი: მარსელ კოლერი

კოტბუსი: პიპლიცა, და სილვა, მაკენა, მიტრესკი, ცებიგი, როსტი, კუკიელკა, კუნცელი (ბუნკელი 72), შაო, მუნტიანუ (ბაუნგარტი 69), რადუ (შელესი 90)

მწვრთნელი: პეტრიკ სანდერი

გაფრთხილება: ო. შრიოდერი, დაბროვსკი, ბაუმგარტი, შაო, და სილვა, მიტრესკი, პიპლიცა, კუკიელკა

მსაჯი: კემპტერი

21 000 მაყურებელი

ბაიერნი 0:0 ნიურნბერგი

ბაიერნი: კანი, სანიოლი, ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, ოტლი (შოლი 57) დემიკელისი, სალიჰამიჯიჩი, შვაინშტაიგერი, მაკაი (პოდოლსკი 58), სანტა კრუზი (პიზარო 79)

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

ნიურნბერგი: შეფერი, რეინჰარდტი, ვოლფი, გლაუბერი, პინოლა, გალაშეკი, მნარი, ბანოვიჩი (მინტალი 79), პოლაკი (კრისტიანსენი 75), საენკო, შროტი

მწვრთნელი: ჰანს მაიერი

გაფრთხილება: სანიოლი, სალიჰამიჯიჩი, ვოლფი

მსაჯი: კინჰოფერი

69 000 მაყურებელი

ჰანოვერი 0:3 ალემანია

0:1 შლაუდრაფი (15), 0:2 დუმი (47), 0:3 პლასენრიხი (72)

ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო (შრიოტერი 67), ფარენჰორსტი, ჟურავი, ანდერსონი, ბალიჩი, ლალა, ბრუგინკი (ტროვალდსონი 66), შტაინერი, ჰუშტი, ჰაშემიანი

მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი

ალემანია: შტრაუბი, პინტო, კლიცპერა, სიხონე, ლეიბაკაბესი, პლასენრიხი, ფილი, როსლერი (რეგეკამპი 73), დუმი (მ. ლემანი 79), შლაუდრაფი (იბისევიჩი 83), ებერსი

მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი

გაფრთხილება: ლალა, ფარენჰორსტი, პინტო, დუმი

მსაჯი: გაგელმანი

30 087 მაყურებელი

ლევერკუზენი 1:1 ვოლფსბურგი

1:0 ჟუანი (49), 1:1 მადუნი (70ს.ჯ.)

ლევერკუზენი: ბუტი, მადუნი, კასტრო, ჟუანი, შტენმანი, ბ. შნაიდერი, რამელო, როლფსი, ბარნეტა (ფრაიერი 73), ბარბარესი, კისლინგი

მწვრთნელი: მიხაელ სკიბე

ვოლფსბურგი: იენჩი, მიორლე, მადლუნგი, ჰოფლანდი, შტეგმაიერი, კარჰანი, ვან დერ ლეეგტე, ლამპრეხტი (ჰანკე 56), კრეინოვიკი, მაკიადი (სარპეი 79), კლიმოვიჩი

მწვრთელნი: კლაუს აუგენტალერი

გაფრთხილება: შტეგმაიერი

გაძევება: რამელო (83)

მსაჯი: ფლეშერი

22 500 მაყურებელი

შტუტგარტი 1:3 დორტმუნდი

0:1 მანინი (20), 1:1 ტასკი (30), 1:2 კრინგე (32), 1:3 ფრეი (88)

შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ტასკი, ფ. მეირა, დელპიერი, მანინი (ნეპრიგი 79), პარდო, ჰილბერტი, ბიროფკა, ფარნერუდი (გენტნერი 46), კაკაუ, შტრელერი (გომესი 55)

მწვრთნელი: არმინ ფეე

დორტმუნდი: ვაიდენფელერი, დეგენი, ბრზენსკა, ვიორნსი, დედე, კრუშკა, ტინგა, კრინგე, პიენაარი, ვალდესი (შმოლარეკი 69), ფრეი

მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი

გაფრთხილება: შტრელერი, დელპიერი, კაკაუ, კრინგე, ტინგა

მსაჯი: ვოკი

44 000 მაყურებელი

გლადბახი 1:0 არმინია

1:0 კახე (59)

გლადბახი: კელერი, ბოგელუნდი, სენსონი, ზე ანტონიო, იანსენი, პოლანსკი (ტიისი 81), კირხი, ელ ფაკირი, უნსუა (ჰელვეგი 87), კახე (დელურა 81), ნოიეილი

მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი

არმინია: ჰაინი, კორეინეცი, ვესტერმანი, ბორგესი, შულერი, კაუფი, კამპერი, მარქსი (კუჩერა 55), მასმანიდისი, ბიომე (კობილიკი 77), ეიგლერი (ნდიენგი 64)

მწვრთნელი: თომას ვონ ჰესენი

გაფრთხილება: მასმანიდისი

მსაჯი: შტარკი

41 129 მაყურებელი

შალკე 2:0 ვერდერი

1:0 კურანი (7), 2:0 ჰამიტ ალტინტოპი (72)

შალკე: ნეუერი, რაფინა, ბორდონი, როდრიგესი, კობიაშვილი, ერნსტი, ლინკოლნი, ბაირამოვიჩი, ჰალილ ალტინტოპი (ასამოა 64), კურანი (ჰამიტ ალტინტოპი 69), ლოვენკრანდსი (ვარელა 84)

მწვრთნელი: მირკო სლომკა

ვერდერი: ვიზე, პასანენი (შულეი 56), ფრიეი, ნალდო, ვომე (ჰანტი 56), ბაუმანი (ზიდანი 71), ფრინგსი, ბოროვსკი, დიეგო, კლოზე, უგო ალმეიდა

მწვრთნელი: თომას შაფი

გაფრთხილება: კობიაშვილი,, ერნსტი, რაფინია, ბოროვსკი, ფრინგსი, ფრიეი

მსაჯი: კირხერი

61 482 მაყურებელი

ჰამბურგი 1:1 ჰერტა

1:0 სანოგო (18), 1:1 ხიმენესი (62)

ჰამბურგი: კირხშტაინი, მაჰდავიკია, ბ. რეინჰარდტი, მატიისენი, ბენჰამინი, დეიონგი, იაროლიმი (გერერო 68), ვიკი (ბერიშა 88), ვან დერ ვაარტი (ტროხოვსკი 53), ლაუტი, სანოგო

მწვრთნელი: თომას დოლი

ჰერტა: ფიგლერი, ვან ბურიკი, ჩაჰედი, სიმუნიჩი, ფატი (ბოატენგი 46), დარდაი, ებერტი, ფილბერტო, ბაშთურკი, ხიმენესი (ოკორონკვო 82), პანტელიჩი (სამბა 88)

მწვრთნელი: ფალკო გიოტეი

გაფრთხილება: იაროლინი, ვიკი, დე იონგი, ბოატენგი, დარდაი, პანტელიჩი

გაძევება: ჩაჰედი (85), ბენჰამინი (89)

მსაჯი: ფანდელი

53 989 მაყურებელი

მაინცი 1:1 აინტრახტი

0:1 ამანატიდისი (25), 1:1 ივანოვიჩი (84)

მაინცი: ვახე, დუ რი ჩა (ივანოვიჩი 75), მ. ფრიდრიხი, ნოვესკი, როზე, პეკოვიჩი, ფ. გერბერი (ამრი 46), ფულერი, ააზუაგი, დამი (ედუ 59), დიაკიტე

მწვრთნელი: იურგენ კლოპი

აინტრახტი: პროლი, რუსი, სიმენი, ვასოსკი, ჰუგელი, ოხსი, სპიხერი, მაიერი (კოლერი 85), შტრაიტი (პრეუსი 67), ტურკი (რეგერი 78), ამანატიდისი

მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი

გაფრთხილება: აზუაგა, ფულერი, როზე

გაძევება: სპიხერი (64), ვასოსკი (88)

მსაჯი: მეიერი

20 300 მაყურებელი

მესამე ტურის შემდეგ ბუნდესლიგაში ქულადაუკარგავი აღარავინ დარჩა. ბავარიულ დერბიში „ბაიერნი“ „ნიურნბერგს“ დაუზავდა, მასპინძელთა სათადარიგოთა სკამზე კი გაბუტული ოუენ ჰარგრივსი იჯდა, რომელსაც თვალი „მანჩესტერ იუნაიტედისკენ“ გაურბის და ამიტომაც არ ათამაშებენ. გერმანელი მიმომხილველების აზრით, უჰარგრივსობა დაეტყო „ბაიერნის“ ნახევარდაცვის შუაგულს და ამიტომაც გაატანეს ქულა „ნიურნბერგს“.

„ზოგჯერ ისეთი მატჩები გამოდის, რომ აურაცხელი მომენტი გაქვს, მაგრამ ბურთი კარში არ შედის — დაიჩივლა ფელიქს მაგათმა — სამი თამაშიდან ცხრა ქულა ვერ ავიღეთ და ახლა შვიდი გვაქვს, თუმც ცხოვრება გრძელდება“.

სტუმარ ივიცა ბანოვიჩს ჰქონდა კარგი მომენტი მეოთხე წუთზე, როცა მცველებს გაექცა და საკმაოდ ახლოდან ბურთი ტრიბუნაზე გაუშვა. ბანოვიჩმა ამის შემდეგ მარკუს შროტი გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე, რომელსაც ოლივერ კანმა აუღო.

მასპინძელთაგან კი დანიელ ვან ბუიტენსს მიეცა გატანის შანსი და აქ უკვე კანის კოლეგამ სასწაულებრივ მოიგერია.

მეორე ტაიმის დასაწყისში როი მაკაის შეეძლო „ბაერნის“ დაწინაურება, თუმც ჰოლანდიელს სიზუსტე დააკლდა, ისევე, როგორც ცოტა ხნის შემდეგ როკე სანტა კრუზს.

შეცვლაზე შესულმა მეჰმეთ შოლმა და ლუკაშ პოდოლსკიმ კიდევ უფრო შემატეს ლაზათი მასპინძელთა შეტევებს, მაგრამ „ნიურნბერგის“ მეკარე რაფაელ შეფერიც არ იყო ჯაბანი.

„ალემანიამ“ პირველი სამი ქულა სტუმრად „ჰანოვერთან“ მიითვალა თან გვარინად დაჩაგრა დამხვდურები, რომლებსაც სამიდან სამი აქვთ წაგებული და 11 გოლის გაშვება მოასწრეს.

ჰაშემიანმა მეტოქის პასი ჩაჭრა, ბურთი შლაუდრაფს მიაწოდა და მანაც მასპინძელთა კარის ცხრიანში შეჭედა. არანაკლებ ლამაზი გამოდგა სტუმართა მეორე გოლი, საშა დუმმა საკმაოდ მახვილი კუთხიდან, დაახლოებით 15 მეტრიდან გაუტანა მეკარეს. ეს მეორე ტაიმის დასაწყისში მოხდა და ამას „ჰანოვერის“ გააფთრებული, მაგრამ უფხო შეტევები მოჰყვა, ზურგამოშიშვლებულ მეტოქეს კი „ხანჯალი“ პლასენრიხმა ჩასცა — შლაუდრაფის პასით ახლოდან გაიტანა და მასპინძელთა ტანჯვაც აქ დასრულდა.

მიჯრით ორი მოგების შემდეგ „ვერდერმა“ გელზენკირხენში მარცხის გემოც გაიგო. ანგარიში ლოვენკრანდსის პასით კევინ კურანიმ გახსნა — ათიოდ მეტრიდან ზუსტად დარტყმა არ გასჭირვებია. მერე ჰალილ ალტინტოპს შეეძლო გატანა, მაგრამ სამიზნე ჰქონდა გამრუდებული, კურანის კი პირველ ტაიმში ტიმ ვიზემ აუღო ორჯერ. ხოლო პირველი გოლის ავტორის შემცვლელმა და ჰალილის ტყუპისცალმა ჰამიტმა ძმას აჩვენა როგორ უნდა გაიტანოს. საჯარიმოში შესულმა ლინკოლნისგან პასი მიიღო და ბურთი ბადეში ააფართხალა.

„შტუტგარტი“ როგორც შარშან, ამ სეზონშიც ვერ თამაშობს შინ კარგად და ორივე საშინაო მატჩში დამარცხდა. პირველ ტურში „ნიურნბერგთან“ წაგო 0:3, ახლა კი „დორტმუნდისგან“ გაუშვა სამი გოლი და მხოლოდ ერთით უპასუხა.

„ვოლფსბურგმა“ ზედიზედ მესამე მატჩი დაამთავრა ფრედ, ოღონდ ამჯერად მასპინძელი დაეხმარა. „ლევერკუზენი“ ჟუანის გოლით უგებდა „მგლებს“, მაგრამ ლევერკუზენელმა მადუნიმ ბოლოს თავის კარში ჩაჭრა ბურთი და სტუმრებს ქულა გაატანა.

ვაჟა ხუციშვილი

ნიურნბერგი	3	2	1	0	4:0	7
ბაიერნი	3	2	1	0	[illegible]	7
შალკე	3	2	1	0	4:1	7
გლადბახი	3	2	0	1	3:1	6
ვერდერი	3	2	0	1	6:5	6
ჰერტა	3	1	2	0	5:1	5
მაინცი	3	1	2	0	4:3	5
ლევერკუზენი	3	1	1	1	5:3	4
დორტმუნდი	3	1	1	1	4:4	4
კოტბუსი	3	1	1	1	3:4	4
ჰამბურგი	3	0	3	0	4:4	3
აინტრახტი	3	0	3	0	2:2	3
ვოლფსბურგი	3	0	3	0	1:1	3
ალემანია	3	1	0	2	3:4	3
შტუტგარტი	3	1	0	2	4:8	3
არმინია	3	0	1	2	3:5	1
ბოხუმი	3	0	0	3	2:5	0
ჰანოვერი	3	0	0	3	2:11	0

IV ტური

16-17 სექტემბერი

ჰერტა	:	შალკე
დორტმუნდი	:	ჰამბურგი
ნიურნბერგი	:	ბოხუმი
არმინია	:	ბაიერნი
აინტრახტი	:	ლევერკუზენი
ვოლფსბურგი	:	ჰანოვერი
ალემანია	:	გლადბახი
კოტბუსი	:	მაინცი
ვერდერი	:	შტუტგარტი

მეორე ბუნდესლიგა
III ტური

კარლ ცაისი — კიოლნი 3:2; ფრაიბურგი — უნტერჰახინგი 1:1; ოფენბახი — კარლსრუე 0:1; აუგსბურგი — ესენი 0:0; ბრაუნშვაიგი — კობლენცი 0:2; დუისბურგი — აუე 4:2; ფიურტი — ჰანზა 1:3; ლაუტერნი — პადერბორნი 2:0. ბურგჰაუზენი — მიუნხენი დღეს გაიმართება

კარლსრუე	3	3	0	0	7:0	9
დუისბურგი	3	3	0	0	7:3	9
ჰანზა	3	2	1	0	4:1	7
კიოლნი	3	2	0	1	9:4	6
კობლენცი	3	2	0	1	4:2	6
ლაუტერნი	3	2	0	1	3:2	6
კარლ ცაისი	3	1	2	0	5:4	5
მიუნხენი	2	1	1	0	4:1	4
ესენი	3	1	1	1	2:1	4
პადერბორნი	3	1	1	1	1:2	4
აუე	3	1	0	2	3:5	3
ფრაიბურგი	3	0	2	1	1:3	2
ბრაუნშვაიგი	3	0	2	1	0:2	2
უნტერჰახინგი	3	0	1	2	1:3	1
ფიურტი	3	0	1	2	2:5	1
აუგსბურგი	3	0	1	2	0:3	1
ოფენბახი	3	0	1	2	2:6	1
ბურგჰაუზენი	2	0	0	2	1:9	0

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
V ტური

უნიონი — ემდენი 1:0; ვილჰელმშავენი — ლევერკუზენი (მ) 2:1; ვუპერტალი — ალენი 3:0; დინამო — ფორტუნა 0:0; ჰერტა (მ) — ზტ პაული 3:0; მაგდებურგი — ოსნაბრიუკი 2:0; ლიუბეკი — კილი 1:1; ვერდერი (მ) — ჰამბურგი (მ) 3:1; დორტმუნდი (მ) — გლადბახი (მ) 2:1

სამხრეთ რეგიონალლიგა
III ტური

ლაუტერნი (მ) — მიუნხენი (მ) 1:1; ზაარბრიუკენი — ზიგენი 1:1; პფულენდორფი — როიტლინგენი 0:2; დარმშტადტი — პირმასენსი 1:2; ინგოლშტადტი — შტუტგარტი (მ) 2:4; კარლსრუე (მ) — ესენი 0:1; აალენი — ჰოფენჰაიმი 0:1; ბაიერნი (მ) — ელვერსბერგი 4:4; შტუტგარტი (მ) — ვეენი 1:0

გულთმისანი დელ ნიდო

დავითმა გოლიათს კისერი მოუგრიხა

ანდრეს პალოპმა „ბარსას“ ძლევით გაიხარა

ევროპის სუპერთასი

ბარსელონა 0:3 სევილია

0:1 რენატო (7), 0:2 კანუტი (45), 0:3 მარესკა (90პ)

ბარსელონა: ვალდესი, პუიოლი, ბელეტი, მარკესი, სილვინიო (ჟიული 72), მოტა (გუდიონსენი 57), ხავი (ინიესტა 57), დეკო, მესი, რონალდინიო, ეტოო

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

სევილია: პალოპი, დანი ალვეში, ხ. ნავარო, ესკუდე, დავიდი, პოულსენი, რენატო, ხ. ნავასი (მარესკა 75), ადრიანო (პუერტა 80), კანუტი, ლუის ფაბიანუ (მარტი 46)

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

გაფრთხილება: სილვინიო, კანუტი, დანი ალვეში, ხ. ნავარო, პალოპი, ესკუდე

მსაჯი: სტეფანო ფარინა (იტალია)

20 000 მაყურებელი

გუნდში გამოვიდნენ ეიდურ გუდიონსენი, ჯანლუკა ძამბროტა და ლილიან ტურამი. მოგებულია: გასული სეზონის ესპანური პრიმერა, ჩემპიონთა ლიგა, დამარცხებულია ესპანეთის სუპერთასზე პრეტენზიულად მყვირალი „ესპანიოლი“.. მთელი მსოფლიო აღფრთოვანებულია, კატალონიელი ინჩასები ხომ მეცხრე ცაზე არიან და უცებ.. ევროპის სუპერთასისთვის ომში არცთუ ისე ვარსკვლავურ „სევილიასთან“ 0:3 წაგება.. რა გააკეთა „ბარსამ“? ის, რომ მთელ მსოფლიოს უჩვენა — ამქვეყნად წაუგებელი გუნდი არ არსებობს. უხაროდეს ჩემპიონთა ლიგის A ჯგუფში „ბარსელონას“ მეტოქე „ჩელსის“, გული დაიმშვიდოს შინაური პრიმერას რაყიფმა „რეალმაც“ — კატალონიელთა წაქცევა შეიძლება და ძალიანაც მწარედაც, ერთი შეხედვით, ევროპის საუკეთესო გუნდის დამარცხება სამბურთიანი სხვაობითაც მოხერხდება..

„ლუი მეორეზე“ მეშვიდე წუთზე ვიქტორ ვალდესის კარი რენატომ შელეწა. ლუიშ ფაბიანუმ მძლავრად გაისროლა, რენატომ მოგერიებულს დაამატა და მონაკოს არენაზე მორიგი გამარჯვების აღსანიშნავდ ჩასულმა კატალონიელმა ინჩასებმა ტკბილი ბანგიდან გამოფხიზლება დაიწყეს — ანდალუზიელები 1:0-ს იგებენ.

თუმცა ხუანდე რამოსის ბიჭების სიჩაუქე შაბათ საღამოს თითქოს ბევრს არაფერს ნიშნავდა. სევილიელებმა გატანილი გოლის შემდეგ უპირატესობა ბარსელონელებს დაუთმეს და „წესით“, რაიკარდის შეგირდებს ანგარიში უნდა გაეთანაბრებინათ, მაგრამ პირველი ტაიმის მიწურულს მალელმა ფრედერიკ კანუტემ აფრიკული თავური ლეწა და ტაბლო უკვე 2:0-ს უჩვენებს.

მეორე ტაიმში ბარსელონელთაგან ყველაზე გამორჩეული ისლანდიელი გუდიონსენი იყო. ესპანური გაზეთები აღნიშნავენ, რომ „გუდი“ ჯერ კიდევ „ჩელსიშია“, „სტემფორდ ბრიჯის“ მაგიისგან თავი ვერ გაუთავისუფლებია.. ეტყობა, ამას [illegible] შობის გამო ამბობენ — ისლანდიელი არც ილიენის, არც ბარსელონურად ელეგანტური გამხდარა და კატალონიურ ზეარისტოკრატიულობას ხომ ვერა და ვერ ეგუება.. „გუდიმ“ იბრძოლა, მაგრამ გოლი ვერ გაიტანა..

შეხვედრის დამაგვირგვინებელი ბურთი მარესკამ შეაგდო. კარლეს პუიოლმა მატჩის მიწურულს „ბარსას“ საჯარიმოში ანტონიო პუერტა მოცელა და იტალიელმა მსაჯმა ფარინამაც პენალტი დანიშნა. მარესკამ იღბლიანად შესრულებული თერთმეტმეტრიანი საჯარიმოთი კატალონიურ ფლაგმანს ბოლო მოუღო..

„ეს დიდებული მატჩი იყო. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ „ბარსელონას“ დარი გიგანტების დამარცხებაც შეგვიძლია. ესპანური პრიმერას დაწყებას ევროპის სუპერთასით გულმოცემულები ვხვდებით“ — განაცხადა მატჩის შემდეგ ანდალუზიელთა მწვრთნელმა ხუანდე რამოსმა.

„ტრადიციულად, შეცდომებზე ვსწავლობთ. არ ვისწავლით და ჯილდოები სხვას დარჩება. „სევილია“ მწარე გაკვეთილი იყო, რაც, იმედია, აღარ განმეორდება“ — თქვა „ბარსას“ დამრიგებელმა რაიკარდმა.

სუპერთასის შერკინებამდე ერთი დღით ადრე, „სევილიას“ პრეზიდენტმა დელ ნიდომ დაიქადნა, „ბარსელონას“ ისევე დავამარცხებთ, როგორც ბიბლიურმა დავითმა გოლიათი დაამარცხაო. ნეტარ არიან მორწმუნენი — განსაკუთრებით, ანდალუზიელები..

ლადო ხომერიკი

იტალია

სუპერთასი

ინტერი 4:3 რომა

0:1 მანსინი (13), 0:2, 0:3 აკილანი (25, 34), 1:3 ვიეირა (44), 2:3 კრესპო (65), 3:3 ვიეირა (75), 4:3 ფიგუ (94)

ინტერი: .ტოლდო, ძანეტი, მატერაცი, სამუელი, გროსო (მაიკონი 54), ვიეირა, ფიგუ, კამბიასო, სტანკოვიჩი (დაკური 105), იბრაჰიმოვიჩი, ადრიანო (კრესპო 60)

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

რომა: დონი, მექსეში, პანუჩი, კივუ, კუფრე, დე როსი, აკილანი (ტონეტო 80), მანსინი, პეროტა, ტადეი (კასეტი 66), ტოტი (მიდო 71)

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

გაძევება: კივუ (100)

მსაჯი: საკანი

იტალიური კომედია: ინტერი ინტერს ვერ შეხვდა და რომა გამოჩხრიკეს

იტალიის სუპერთასზე „ინტერი“ „რომასთან“ 0:3-ს აგებდა და 4:3 მოიგო. გადამწყვეტი, მეოთხე გოლი შავ-ლურჯების პორტუგალიელმა ვარსკვლავმა ლუიშ ფიგუმ დამატებით დროში, საჯარიმო დარტყმით გაიტანა. ასე და ამგვარად, თამაში, რომელიც, საერთოდ, არ უნდა შემდგარიყო, ძალიან შთამბეჭდავი გამოდგა და რობერტო მანჩინისა და მისი ქვეშევრდომების გამარჯვებით დასრულდა. რატომ არ უნდა შემდგარიყო ეს თამაში? იმიტომ, რომ „რომა“ არაფერ შუაში გახლდათ, ის მხოლოდ და მხოლოდ იტალიის თასის დამარცხებული ფინალისტია. დიახ, სინამდვილეში გამარჯვებულ ფინალისტს, „ინტერს“, ქვეყნის ჩემპიონ „იუვენტუსთან“ უნდა ეთამაშა, მაგრამ საქმეში კალჩოპოლის სკანდალი ჩაერია, „იუვეს“ ჩემპიონობა ჩამოართვეს, „ინტერს“ გადასცეს და მილანელებს სუპერთასზე საკუთარ თავთან თამაში რომ არ დასჭირვებოდათ, მეტოქედ „რომა“ გამოუძებნეს. ერთი სიტყვით, იტალიის სუპერთასი თასის ფინალის გამეორება გამოვიდა, მაგრამ, რაც მართალია, მართალია, ძალიან საინტერესო.

„სან სიროზე“ თამაშს 40 ათასი მაყურებელი დაესწრო. „ინტერის“ ახალ შენაძენთაგან არსად ჩანდა ბოლო დღეებში სწორედ „რომადან“ გადაბარგებული დავიდ პიზარო, სამაგიეროდ, იყვნენ ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ფაბიო გროსო და პატრიკ ვიეირა.

ანგარიში მე-13 წუთზე რომაელმა ბრაზილიელმა ამანტინო მანსინიმ გახსნა. ამ ეპიზოდში კრისტიან პანუჩის პასი ვერც ხავიერ ძანეტიმ ჩაჭრა და ვერც მეკარე ტოლდომ, ასე რომ, მანსინის ბურთის დაუცველ კარში შეგორებაღა დასჭირდა. სხვათა შორის, მანსინიმ ამ მომენტამდე ორჯერ სახიფათოდ შეუტია მილანელთა კარს ისევე, როგორც აკილანიმ, სანამ ანგარიშს 2:0-ს გახდიდა. აკილანის საგოლე პასი ფრანჩესკო ტოტიმ მიაწოდა, „ინტერის“ დაცვამ კი პირი დააღო. მესამე გოლი ისევ აკილანიმ შეაგდო და აქ, 34-ე წუთზე თითქოს ყველაფერი მოთავებულიც იყო, მაგრამ ფრანგმა პატრიკ ვიეირამ ფიგუს ჩაწოდებული, თავით რომაელთა კარში შეაგდო და შესვენებაზე გუნდები 1:3-ით გავიდნენ.

